პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — წლიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
[illegible] ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისათვის ლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 3-დან 5 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქციისა 14—76. მდივნის 10—58

ერთის მოწერის ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

№ 104 ხუთშაბათი 10 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 1 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

ინგლისი თუმცა არაა კმაყოფილი გერმანიის წინადადებით, მაგრამ მაინც თანახმაა დაიწყოს მასთან მოლაპარაკება და შეთანხმებას მიაღწიოს.

იტალიის გაზეთები აცხადებენ, რომ იტალიის მთავრობა იმავე აზრის არის გერმანიის ნოტის შესახებ, როგორც ინგლისი.

საფრანგეთის მთავრობა აპირებს კიდევ უფრო მკაცრი ზომები მიიღოს რურის ოლქის მცხოვრებლებისადმი და გერმანიის მთავრობისადმი.

რურის ოლქში კიდევ აფეთქდა რამოდენიმე ხიდი.

ხუთშაბათს, 10 მაისს, საღამოს 6 საათზე

სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პლენუმის გაფართოებული სხდომა.

დღის წესრიგი: მოხსენება რ. კ. პ. მე-12 ყრილობის შესახებ. მოპატიჟებულნი არიან აგრეთვე რაიკომები და პასუხისმგებელი მუშაკები.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **რუბენი**

პარასკევს, 11 მაისს,

მთლიან პარტიულ დღის

მაგივრათ შესდგება საერთო რაიონული კრებები.
დღის წესრიგი:

მოხსენება რ. კ. პ მე-12 ყრილობის შესახებ

გამოდიან: 1 რაიონში—ამხ. ორჯონიკიძე და ორახელაშვილი.
2 „ ამხ. რუბენი.
3 „ ამხ. შ. ელიავა.
4 „ ამხ. მიხ. კახიანი.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **რუბენი.**

ამიერ-კავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია

სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს შორის ამტყდარ ქონებრივ დავის გადასაწყვეტად ა. წ. 11 მარტის დებულებისა („ზარია ვოსტოკა" № 221) და ამიერ-კავკასიის ცაკის ა. წ. 23 აპრილის („ზარია ვოსტოკა" № 261) დადგენილების თანახმად ამიერ-კავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიამ დაიწყო მოქმედება.

მთხოვნელების მიღება სწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 3 საათამდე.— თბილისი. სასახლე, № 27.

ამიერ-კავკ. უ. ს. კ. თავმჯდომარე ა. **შავერდოვი.**
მდივანი **იუზბაშევი.**

კიდევ ერთი მჭერმეტყველი ფაქტი

უკვე დამთავრდა ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა საქართველოს წითელი ჯარის შესავსებად. ყველგან რესპუბლიკაში ეს კამპანია ბრწყინვალედ ჩატარდა. სრულებით არ ყოფილა საჭირო რაიმე იძულებითი ზომების მიღება. გასაწვევი ახალგაზრდობა ნებაყოფლობით და დიდი აღფრთოვანებით გამოცხადდა. ბევრი იყო მოხალისეც, რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ეხებოდათ გაწვევა,—მოითხოვდნენ მუშურ-გლეხურ ჯარში ჩარიცხვას. საერთოდ გამოცხადებულთა რიცხვმა დიდად გადააჭარბა დაწესებულ ნორმას, რის გამო საჭირო შეიქმნა საგრძნობი ნაწილის განთავისუფლება და უკან დაბრუნება.

რას ნიშნავს ეს ფაქტი, რის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ახალგაზრდა მუშები და გლეხები ასე დაუზარებლად და ალტაცებით მიდიან წითელ არმიაში!

ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი მშრომელი ხალხი სავსებით და აქტიურად უჭერს მხარს საბჭოთა ხელისუფლებას, რომლის პირველ დაძახილზე ის გზავნის თავის საუკეთესო შვილებს წითელი ჯარის შესავსებად, ჯარის, რომელიც ფხიზლად დგას სადარაჯოზე რევოლიუციის მონაპოვართა და საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრების დასაცავად.

მართალია, ჩვენ ამ ჟამად არ მოგველის მტრებისაგან თავდასხმის უშუალო საფრთხე. გვაქვს საშუალება მშვიდობიანი შრომის და აღმშენებლობის. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მშრომელთა ბატონობის მტრებმა ერთხელ და სამუდამოდ აიღეს ხელი თავიანთ შავ განზრახვებზე. ისინი, უკუქცეულნი თავიანთ ბუნაგებში მუშათა კლასის და წითელი ლაშქრის თავგანწირული და ძლევამოსილი ბრძოლით, კვლავ ოცნებობენ ამა თუ იმ სახით ისევ დაიმონონ ჩვენი მშრომელი მასები.

ჩვენს ხალხს გათვალისწინებული აქვს ეს გარემოება, ის არავითარ შემთხვევაში არ დასთმობს მოპოვებულ უფლებებს, მას მშვენივრად ესმის მნიშვნელობა წითელი არმიის, რომელიც იცავს მის ინტერესებს, ამიტომაც აძლიერებს და ამაგრებს მის რიგებს.

საბჭოთა ხელისუფლებას არ სჭირია ჯარის შესაგროვებლათ მიმართოს რეპრესიებს, ჯოხს და მათრახს, როგორც ამას სჩადიოდნენ ცარიზმის აგენტები და მენშევიკები.

ხალხმა იცის, რომ საბჭოთა მთავრობა მისი მთავრობაა და წითელი არმიაც ხალხის ერთგული დარაჯი. ამიტომაც ის ასე ნებაყოფლობით და ენტუზიაზმით ასრულებს თავის სამხედრო ვალდებულებას მუშურ სახელმწიფოს წინაშე.

ჩატარებულმა გაწვევამ ერთხელ კიდევ გამოააშკარავა ხალხის სულიერი განწყობილება და მისი პოლიტიკური შეგნება; რესპუბლიკის მთელი მშრომელი მოსახლეობა აქტიური დამცველია საბჭოთა წყობილების, საბჭოთა რესპუბლიკის.

მასთან ამ მოვლენას აქვს კიდევ სხვა მხარე. ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება ოდნავადაც არ წააგავს ძველი დროის ჯარის ყაზარმულ უშინაარსო ცხოვრებას.

ჩვენს ჯარში ხდება არა მარტო რაციონალური სამხედრო სწავლა-გაწვრთნა, აქ სწარმოებს აგრეთვე უდიდესი კულტურული და პოლიტიკური მუშაობა. ცოდნის და შეგნების დონე გაწვეულ ახალგაზრდობის უმრავლესობისა, რომლის მეტი წილი გლეხობისაგან შესდგება, ძალიან დაბალია. ბევრმა უბრალო წერა-კითხვაც არ იცის. ჯარში, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში, ხდება წითელ არმიელების ტეხნიკურ. და პოლიტიკურ უცოდინარობის ლიკვიდაცია; ისინი აქედან გამოდიან მცოდნე და შეგნებულ მოქალაქეებად.

ამგვარად, ჩვენი ჯარი არის,—არა მარტო სამხედრო ორგანიზაცია, არამედ უდიდესი კულტურული ორგანიზაციაც. ეს იცის ხალხმა, და მით უფრო მეტი ხალისით გზავნის ის თავის შვილებს წითელ არმიაში.

აღსანიშნავია ერთი მომენტიც. ჩვენი ჯარი არის მუშების და გლეხების შესაყარი პუნქტი. აქ ერთმანეთს ეცნობიან სოფლის მეურნე გლეხი და ქალაქის მწარმოებელი პროლეტარი; მათ უხდებათ ცხოვრება და მუშაობა ერთნაირ პირობებში. გლეხი წითელარმიელი ითვისებს მუშის თვალსაზრისს, უკანასკნელი იგებს პროვინციელის მოთხოვნილებებს და ჭირ-ვარამს. ამნაირად, ჯარში ხდება დაკავშირება მუშათა კლასის და გლეხობის, სოფლის და ქალაქის.

შემდეგშიაც უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ჯარის კულტურულ და პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, აგრეთვე მასში მოხვედრილ მუშის და გლეხის კავშირის განმტკიცებას.

რაც შეეხება წითელ არმიის მატერიალურ მდგომარეობას, ჩვენ უკან დავტოვეთ ის დრო, როცა სახელმწიფოს მეტად უჭირდა მისი რიგიანად გამოკვება და შემოსვა. რესპუბლიკის მეურნეობის აღორძინებასთან ერთად, თანდათან უმჯობესდებოდა ჯარის ნივთიერი უზრუნველყოფის საქმეც.

ამ მხრივ უფრო უკეთესი პირობების შექმნა შეადგენს ჩვენს მოვალეობას. რესპუბლიკის დამცველი წითელი ჯარის-კაცი სავსებით უნდა იყოს მაძღარი და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი.

ჯარის როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო ხელმძღვანელებს უდიდესი საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევთ მშრომელთა წინაშე რესპუბლიკის ერთგული და შეგნებული მძლავრი წითელ არმიის შექმნა—მომზადებაში, წითელ არმიელების კულტურულ გათვითცნობიერების და ნივთიერ უზრუნველყოფის საქმეში.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ მოვალეობას ისინი პირნათლად შეასრულებენ.

ამაში ჩვენ უფრო გვარწმუნებს. სხვათაშორის, ჩვენი ჯარის უპარტიო უფროსთა შემადგენლობის ის პოლიტიკური განწყობილება, რომლის შესახებ ამას წინედ ცნობა გვქონდა მოთავსებული. ვლაპარაკობთ უპარტიო ოფიცრების მიერ გამოტანილ რეზოლიუციაზე. ქართული დივიზიის უპარტიო ოფიცრობა აღიარებს თავს საბჭოთა ხელისუფლების მომხრედ და მის დამცველად, ისინი აცხადებს, რომ მთელი ძალ-ღონით შეუწყობენ ხელს ღირსეული წითელ არმიის მომზადებას; ამასთან კიცხავენ ყველა იმათ, ვინც გაბედავს ქართველი ოფიცრების სახელით ლაპარაკს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს საყურადღებო მოვლენაა. ყოფილი ოფიცრობა ჩვენში საკმაოდაა. მათი ნაწილი გადავარდა კონტრრევოლიუციის ბანაკში და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ეწეოდა. მაგრამ მეორე ნაწილში მოხდა აშკარა გარდატეხა. ის დარწმუნდა საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში, მის წინააღმდეგ ბრძოლის უაზრობაში და მუშათა კლასის საქმის სიმართლეში. ის მზადაა, თავის სპეციალობის მიხედვით, ხელი შეუწყოს მუშათა კლასის ბატონობის განმტკიცებას. ამის მაჩვენებელია ის რეზოლიუცია, რომლის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი.

ეს მისასალმებელი ფაქტია, რომელსაც, ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, მოყვება სხვების ანალოგიური ნაბიჯები.

გამოფხიზლებულ და საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე გულწრფელად დამდგარ ოფიცრობას მართლა შეუძლია საკმაო სარგებლობის მოტანა წითელ არმიის სათანადო მომზადების საქმეში.

ამიტომაც, ვიმეორებთ, ჩვენი ახალგაზრდა წითელი არმია საიმედო ხელმძღვანელების ხელშია, რომელნიც შესძლებენ პირნათლად შეასრულონ თავიანთი მძიმე მოვალეობა რესპუბლიკის წინაშე, ძლევამოსილი წითელი არმიის ორგანიზაციით.

შეცდომა უნდა გასწორდეს.

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-12 ყრილობაზე მიღებული რეზოლიუცია ნაციონალურ მომენტების შესახებ პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში ყველას გასაგონათ ლაპარაკობს აშკარათ იმის შესახებ, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებში ადგილობრივი ელემენტებიდან გამოცდილი მომზადებული პარტიული ამხანაგების „სიმცირე ან სრულიად არ ყოლა" დიდათ უშლის ხელს და ძალზე აფერხებს, როგორც პარტიულ ისე საბჭოთა აღმშენებლობას. შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ნაციონალურ კომუნისტურ პარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან უნდა დაარსდეს ინსტრუქტორთა ჯგუფები ადგილობრივი მუშაკებისაგან. ამის სისრულეში მოყვანა კი შესაძლებელი გახდება მხოლოთ მაშინ, როდესაც ჩვენ გვეყოლება ამ ნაციონალურ რესპუბლიკებში საკმარისი კადრი მომზადებულ ამხანაგებისა ადგილობრივ ელემენტებისაგან.

ხოლო რა არის საჭირო ასეთი კადრის შესაქმნელათ?

საჭიროა, როგორც იგივე რეზოლიუცია აღნიშნავს, ა) უმაღლესი ტიპის მარქსისტული წრეების მოწყობა ნაციონალური რესპუბლიკების ადგილობრივ პარტიულ მუშაკებიდან; ბ) გაძლიერება აღმოსავლეთის ერების უნივერსიტეტისა და მისი განყოფილებისა ადგილობრივ, და სხვა.

ჩვენს პირობებში, სახელდობრ, ამიერ-კავკასიის პირობებში, სადაც წინათ დიდი ბუდე ჰქონდათ გაკეთებული მენშევიკ-მუსავატ-დაშნაკელებს და მთელი ჰაერი მწვავე ნაციონალისტური და შოვინისტური შხამით იყო მოწამლული, ასეთ ღონისძიებას, რომელზედაც მიგვითითებს დასახელებული რეზოლიუცია, მით უფრო მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

ჩვენში თავიდანვე ცხადი იყო საჭიროება ისეთი [illegible] ლაბორატორიისა, სადაც შეიძლებოდა გაწვრთნა და გამოჭედვა რამდენიმეთ მაინც მომზადებულ და პროლეტარულ იდეოლოგიით გამსჭვალულ მუშაკებისა ადგილობრივ ელემენტებისაგან.

ამიტომაც იყო, რომ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პირველმა სესიამ დაადგინა დაარსებია ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი ქ. თბილისში.

ამ უნივერსიტეტის დანიშნულება იყო მომზადება და გაწვრთნა ისეთი ამხანაგებისა, რომლებიც კარგათ იყვენ გაცნობილი ადგილობრივ პირობებს, ერთი სიტყვით ამხანაგებისა ადგილობრივ ელემენტებისაგან. ამიტომაც იყო, რომ უნივერსიტეტთან დაარსებული იყო ოთხი სექცია: 1) მუსულმანური, 2) სომხური, 3) რუსული და 4) ქართული.

ყველაზე უფრო სუსტ რესპუბლიკათ გამოცდილ და გაწვრთნილ ძველი კომუნისტ-მუშაკების მხრივ ამიერ-კავკასიაში ითვლება აზერბაიჯანი. სომხეთი და საქართველო გაცილებით უკეთეს პირობებში არიან ამ მხრივ. რაც შეეხება რუსი მომუშავეების კადრს, ლაპარაკიც კი ზედმეტია, რომ ეს საკმაოა შედარებით.

ამიტომ გვეგონა, რომ უნივერსიტეტში, სადაც არსებობს სპეციალურათ მუსულმანური სექციაც დიდი ყურადღება ექნებოდა დათმობილი მუსულმან ამხანაგებს და პროცენტის მხრივ ისინი უფრო მეტი რიცხვით იქნებოდნენ წარმოდგენილი სხვა ეროვნებებთან შედარებით. მაგრამ ნამდვილათ კი სრულ წინააღმდეგს ვხედავთ. ყველაზე უფრო ნაკლებ პროცენტს შეადგენენ უნივერსიტეტში სწორეთ მუსულმანები. და არა თუ უნივერსიტეტში, არამედ თვითონ აზერბაიჯანიდან მოვლინებულ კურსანტებიდან მხოლოთ **ერთია** მუსულმანი. ნუ თუ ეს ნორმალური და შესაწყნარებელი მოვლენაა?

8 მაისის „ზარია ვასტოკაში" მოყვანილია ცნობები კურსანტების შემადგენლობის შესახებ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში ამხ. ს. შადუნცის მიერ, რომელიც აგრეთვე მეტად უკმაყოფილოა საქმის ასეთი ვითარებით ჩვენს მარქსისტულ ლაბორატორიაში.

მოვიყვანოთ ეს ცნობები:

	რესპუბლიკები და დაწესებულებები, რომლებმაც გაგზავნეს უნივერსიტეტში კურსანტები	სომეხი	ქართველი	მუსულმანი	რუსი	ებრაელი	დანარჩენი ეროვნებები
1	აზერბაიჯანი	6	—	1	12	—	3
2	საქართველო	15	21	—	7	4	—
3	სომხეთი	16	—	1	—	—	—
4	არმიის პოლიტგანყოფ.	5	3	—	13	5	1
	სულ	42	24	2	32	9	10

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს მუსულმანი კურსანტების პროცენტი მეტად დაბალი და უმნიშვნელოა. მთელ კურსანტებიდან მხოლოთ ორია მუსულმანი (2 ყაზანელ თათარს თუ სახეში არ მივიღებთ), და ეს იმ დროს როდესაც ყველაზე უფრო აზერბაიჯანი განიცდის მუსულმან მუშაკების სიმცირესა და ნაკლებობას, ვინაიდან პირდაპირ თითზე ჩამოსათვალია აზერბაიჯანში მომუშავე მუსულმანი ამხანაგები. ნუ თუ ეს გარემოება შესაწყნარებელია?

პირდაპირ განსაცვიფრებელია ის, რომ აზერბაიჯანიდან 12 რუსია, 6 სომეხი და მხოლოდ **ერთი** მუსულმანი. ეს პირდაპირ წარმოუდგენელი რამაა. ვინ ესაჭიროება აზერბაიჯანს უპირველესათ ყოვლისა და უმთავრესათ: რუსი, სომეხი თუ მუსულმანი მომზადებული ამხანაგი? ყველასათვის აშკარა და ნათელი უნდა იყოს, რომ ესაჭიროება **მუსულმანი** მომუშავე და უპირველესათ ყოვლისა ისინი უნდა იგზავნებოდენ უმაღლეს სასწავლებლებში, რათა შეიქმნეს საკმარისი კადრი მუსულმან პარტიულ და საბჭოთა მუშაკების. რასაკვირველია საჭირია, რომ გაიწრთვნენ ყველა ამხანაგები უკლებლივ განურჩევლათ ეროვნებისა იქნება ის რუსი, სომეხი, თათარი თუ ქართველი. მაგრამ დღევანდელ ჩვენ მძიმე პირობებში ეს ფუფუნებაა ჩვენთვის, და არ შეგვიძლია სისრულეში მოყვანა. მასთან **შედარებით** მუსულმან მომუშავეებთან საკმაო კადრია რუსი და სომეხი მომუშავეების, რომლებითაც შეგვიძლიან დავკმაყოფილდეთ ჯერჯერობით. ხოლო მეტის-მეტად საჭიროა სწორეთ მუსულმან ამხანაგების კულტურის დონის ამაღლება, და ამიტომ აზერბაიჯანიდან უნივერსიტეტში უნდა გამოეგზავნათ თუ ყველა არა უმრავლესობა მაინც მუსულმანებისა.

ასეთი ვითარება ყოვლად შეუწყნარებელია ჩვენს პირობებში და მით უმეტეს ჩვენი პარტიის მე-12 ყრილობის შემდეგ, რომელმაც ხაზი გაუსვა ნაციონალურ რესპუბლიკების ადგილობრივ პარტიულ მუშაკების მომზადება-გაწვრთნის საჭიროებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პარტიული საოლქო ორგანო ამ ნაკლს უეჭველათ გამოასწორებს.

ქ. კომუნაძე.

ანტისარწმუნოებრივი კამპანია

ანტირელიგიურმა კამპანიამ საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო და დიდი წარმატებით ტარდება, განსაკუთრებით სოფლებში, რომლებმაც ამ მხრივ არა თუ უკან არ ჩამორჩენ, კიდეც გაუსწრეს ქალაქებს. დაუჯერებელი და წარმოუდგენელი იყო სულ რამოდენიმე თვის წინად ის, რაც ამ ჟამად ხდება პროვინციაში ანტისარწმუნოებრივ ფრონტზე.

ელვის სისწრაფით ემხობიან საუკუნოებრივი კერპები, „ყოვლის შემძლე ღმერთი" და ურიცხვი „წმინდანები".

არა თუ მრევლმა, მორწმუნე გლეხობამ, თვით სამღვდელოებამაც ზურგი შეაქცია „ღმერთებს", მათ უძლურებაში დარწმუნებული ის თავს ანებებს ეკლესიის და სარწმუნოების მსახურებას; ბევრი მათგანი საქვეყნოდაც აცხადებს ამას და ითხოულობს მიღებულ იქნეს საბჭოთა სახელმწიფოს ჩვეულებრივ მოქალაქეთ.

ეს მეტად საყურადღებო მოვლენაა ჩვენი დროის ცხოვრებისა, რომლის მსგავსი ისტორიასაც არ ახსოვს.

საქართველომ წინ გაუსწრო ამ საკითხში არა თუ ბურჟუაზიულ ქვეყნებს, თვით საბჭოთა რესპუბლიკებსაც, სადაც რელიგიის და სამღვდელოების გავლენა თუმცა შერყეულია, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. ეს ნათლად ამტკიცებს საქართველოს ხალხის რევოლიუციონურათ მომწიფებას, სარწმუნოებრივ ფანატიზმის ბურუსიდან განთავისუფლებას. ამის ნიადაგი ადრევე მზადდებოდა საქართველოში, ჯერ კიდევ 1905 წელში სამღვდელოების საწინააღმდეგო აგიტაციას დიდი თანაგრძნობით და სიხარულით ხვდებოდა „სულიერ მამათაგან" განაწამები მშრომელი გლეხობა. სამღვდელოების გავლენა, პრესტიჟი ამ დროსაც უკვე დაცემული იყო, ხალხში ათასგვარი ლექსები და თქმულებები ვრცელდებოდა სამღვდელოების გახრწნილ ცხოვრების შესახებ.

ეკლესიები თანდათან ცარიელდებოდა და თუ ხალხი იქ ხანგამოშვებით მაინც იყრიდა თავს, ეს უმეტეს შემთხვევაში გამოწვეული იყო არა „ღმერთებისადმი" ლოცვა-ვედრების სურვილით, არამედ ერთმანეთის შეხვედრის მიზნით. სოფლად კლუბები და თეატრები არ არსებობდენ, ხალხს მხოლოდ აქ ჰქონდა უქმე დღეებში თავის მოყრის და ერთმანეთთან გაცნობა კავშირის საშუალება; საეკლესიო დღესასწაულებზე და „ღდეობებზე" ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა უმთავრესად სწორედ ამ მიზნით ღებულობდა მონაწილეობას.

სამღვდელოება ხალხის ამ მისწრაფების გამოყენებას სცდილობდა თავის შერყეულ ძალა გავლენის განსამტკიცებლად, ნაწილობრივ კიდეც აღწევდა მიზანს ძველი კანონების, ადათ-წესების და მთავრობის დახმარებით... მაგრამ დაემხო ძველი მთავრობა, მოისპო მისი კანონები და სამღვდელოება ჰაერში გამოკიდებული დარჩა, საკმარისი იყო ერთი ძლიერი შეტევა ახალი რევოლიუციონური თაობისა მისი გავლენის სრულ აღმოსაფხვრელად, მისი მატყუარობის, სიყალბის და სიცრუის გამოსააშკარავებლად.

ეკლესიების და სამღვდელოების გავლენის დამხობაში განსაკუთრებული როლი ითამაშა „წმინდანების" გახსნამ, როგორიც მოხდა მოწამეთაში და საქართველოს ზოგიერთ სხვა ადგილებში. „უხრწნელი ნაშთების" ნაცვლად ხალხმა ძვლები ნახა, ზოგიერთ ადგილას კი დამპალი, დაფუტურებული ჯირკვები და სხვ. ამის შემდეგ სამღვდელოებაც მიხვდა, რომ საფუძველი გამოეცალა ცრუ მორწმუნეობას, ის ნაწილობრივ [illegible] იძულებული გახდა აღიაროს თავისი დანაშაული ხალხის სიბნელის დაცვის საქმეში და გულწრფელად თუ პირმოთნეობით ითხოვს პატიებას. ამან კიდევ უფრო ხელი შეუწყო გლეხობის გამოფხიზლებას, ამის მიხედვით მოხუცებმაც კი ზურგი შეაქციეს სარწმუნოებას.

ყოველივე ეს ნათლად მოწმობს, რომ მშრომელ ხალხში დიდი ფსიქოლოგიური გარდაქმნა, გარდატეხა ხდება, მისი შემეცნება და მსოფლმხედველობა იცვლება. ამ პროცესის მიმდინარეობას ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ მთელი ენერგიით და გეგმაშეწონილი მოქმედებით. „ღმერთები" და „წმინდანები" დაემხო, მათ ნაცვლად ჩვენ მეცნიერება და კულტურა უნდა გავხადოთ მისაწვდომი მშრომელი გლეხობისათვის.

ეკლესიები კარგამოკეტილი არ უნდა დარჩენ, ისინი დაუყოვნებლივ გამოყენებულ უნდა იქნან კულტურული დაწესებულებებისთვის, როგორიცაა კლუბები, თეატრები, სკოლები, სამკითხველოები და სხვა. არასოდეს ისე საჭირო არ იყვენ მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი პარტმუშაკები და საზოგადოდ კულტურული ძალები სოფლად, როგორც დღეს. პოპულიარულ-მეცნიერული ხასიათის მოხსენებები, წარმოდგენები და ლიტერატურული საღამოები ერთმანეთს უნდა სცვლიდენ; ჟურნალ-გაზეთები, ხალხური ენით დაწერილი წიგნები ყოველი გლეხის ოჯახში უნდა შეიჭრას და გაუშუქოს მას ცხოვრების გზა.

სასარგებლო გონებრივ საზრდოს განუწყვეტლივ უნდა ვაწვდიდეთ სოფელს. აუცილებლად საჭიროა რაიონებში თუ არა, მაზრებში მაინც მოძრავი თეატრის დაარსება, დახელოვნებული არტისტებით და სცენის მოყვარეებით. სასოფლო სკოლები უდიდესი ყურადღების ღირსი უნდა გახდენ; ახალი ნორჩი თაობის თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილებათა მიხედვით აღზრდისათვის არ უნდა დავიშუროთ არაფერი, პროლეტარული რევოლიუციის მსვლელობის დროს აღზრდილი ახალგაზრდობა სამაგალითო უნდა იყოს, საერთო ყურადღების ცენტრი აქეთ უნდა იქნეს მიპყრობილი.

ქალაქი სოფელს კულტურულათაც უნდა დაუკავშიროთ; მათი განვითარება, წინსვლა პარალელურათ უნდა ხდებოდეს. სოფელი კულტურულ დაწესებულებებით და ძალებით უნდა გავამაგროთ; ამ მხრივ ჯერ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საქმე დაწყებულია, მუშაობის საფუძველი ჩაყრილია, საჭიროა მისი გაგრძელება და ლოღიკურ დასასრულამდე მიყვანა. რევოლიუციამ უნდა შესცვალოს სოფლის მდგომარეობა როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად.

ი. ბ.

რადიო-ტელეგრამები

რურის ოლქის ოკუპაცია

ძალადობა გრძელდება

ბერლინი. 8 მაისი. **საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლება რურში განაგრძობს მიმოსვლის პირობების გართულებას და სასტიკად ეპყრობა გერმანიის მოხელეებს და მოსამსახურეებს.**

უკანასკნელად ფრანგებმა კვლავ გადაასახლეს გერმანელ რკინის გზელების 150 ოჯახი.

განაჩენი კრუპპის საქმის გამო

ლონდონი. 8 მაისი. სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა კრუპპს 15 წლის ციხე და 100 მილ. ჯარიმა. დირექტორებს კარხნების ადმინისტრაციიდან მიუსაჯეს ციხე 10-დან 15 წლამდე.

ქალაქის ფულის მითვისება.

პარიზი, 8 მაისი საოკუპაციო ჯარმა დიუსელდორფში მუნიციპალიტეტის სალაროდან წაიღო 67 მილიონი მარკა იმ ჯარიმის გადახდის ანგარიშში, რომელიც დადებული ჰქონდა ქალაქს.

მოწოდება პასიურ წინააღმდეგობისაკენ

ბერლინი. 8 მაისი. იტყობინებიან, რომ კრუპპის საქმის შესახებ განაჩენის გამოტანის გამო, გერმანიის პრეზიდენტი ებერტი, კუნო და კაბინეტი მიმართავენ მოწოდებით გერმანიის ხალხს, რომელშიაც მიუთითებენ საფრანგეთის მართლმსაჯულების გამყიდველობაზე და მოუწოდებენ მომავალშიაც განაგრძონ პასიური წინააღმდეგობა.

რკინის გზელთა გადასახლება.

ბერლინი. 8 მაისი. ამ დღეებში საოკუპაციო ოლქიდან კიდევ გადაასახლეს 260 გერმანელი რკინის გზელი. მათთან ერთად გადაასახლეს მათი ოჯახებიც.

ხიდის აფეთქება

პარიზი. 8 მაისი. დურენთან ახენ-კელნის ხაზზე ყუმბარით ააფეთქეს ხიდი. ხიდი დაინგრა. ახენში მიმავალი მატარებელი თავის დროზე იქნა შეჩერებული.

ლოზანას კონფერენცია

მოკავშირეთა დელეგაციები.

პარიზი. 8 მაისი. ლოზანაში შესდგა მოკავშირეთა დელეგაციის თათბირი, რომელზედაც არკვევდენ საკითხს უცხოელთა უფლებების შესახებ ოსმალეთში.

„ტანის" გადმოცემით, რუმბოლდს ჰქონდა თათბირი ისმეტ ფაშასთან. შემდეგ მოხდა მოკავშირეთა დელეგაციების თათბირი ვენიზელოსთან ერთად. თათბირმა გაარჩია საკითხი საბერძნეთის კონტრიბუციის და ამნისტიის შესახებ.

გერმანია და ანტანტა

საერთო ხაზი.

რომი 8 მაისი. იტალიის დიპლომატიურ წრეებში აცხადებენ, რომ **ინგლისის და იტალიის ცალკე ნოტები გამოხატავენ ერთსა და იმავე აზრს.**

კუნოს აზრი.

ბერლინი. 8 მაისი. გაზეთი „პელ მელ გაზეტში" მოთავსებულია ინტერვიუ კანცლერ კუნოსთან, რომელშიც უკანასკნელი აცხადებს, რომ გერმანია ცდილობს ყველაფერი შეასრულოს შეძლებისდა გვარად. კონტრიბუციის ჯამი გამორკვეული რომ ყოფილიყო, მაშინ კუნო, მისი განცხადებით, მოუწოდებდა გერმანიის ხალხს მიეღო ეს უღელი თავის თავზე.

კიდევ ძალადობა.

ბერლინი 8 მაისი. გაზ. „ეკოდე პარი" იტყობინება, რომ ახლო მომავალში საფრანგეთი მიიღებს უფრო სერიოზულ ზომებს რურში, სადაც განზრახულია გარნიზონების რაოდენობის გადიდება. გაზეთის აზრით, ეს გამოწვეულია მით რომ საჭიროა საფრანგეთის ეკონომიური ინტერესების დაცვა, გერმანიის გაკოტრების საფრთხის გამო.

„სანდეი ტაიმსის" სურვილები.

ლონდონი. 6 მაისი. გაზ. „სანდეი ტაიმს" სწერს, რომ **გერმანიის ნოტამ შეუძლებელი გახადა ინგლისის ჩარევა სარეპარაციო საკითხში. გაზეთის აზრით, გერმანიამ უნდა წარადგინოს ახალი სარეპარაციო წინადადება და დათანხმდეს რურის თანდათანობით ევაკუაციაზე** გერმანიის მიერ სარეპარაციო ვალდებულებათა შესრულების მიხედვით. „სანდეი ტაიმსი" აცხადებს, რომ პასუხი გერმანიის ახალ წინადადებებზე გამომდინარეობს ყველა მოკავშირეებიდან.

საფრანგეთ-ბელგიის პასუხი.

ბორდო 6 მაისი. ან ლოგიური პასუხები საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებიდან გადაეცემა გერმანიის რწმუნებულებს პარიზში და ბრიუსელში კვირას.

საპასუხო ნოტაში საფრანგეთი და ბელგია აღნიშნავენ მხოლოდ უარის თქმის მიზეზებს და არ აძლევენ თავის მხრივ კონტრ-წინადადებებს.

საფრანგეთ-ბელგიის ნოტის განხილვა.

ბერლინი. 8 მაისი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, 8 მაისს, როგორც კი კუნო დაბრუნდება მგზავრობიდან, გერმანიის კაბინეტი შეუდგება საფრანგეთ-ბელგიის ნოტის განხილვას.

ინგლისის პასუხი.

ბერლინი, 8 მაისი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ინგლისის პასუხი გერმანიის ახალ წინადადებებზე გაიგზავნება ოთხშაბათს საღამოს. ინგლისის ხაზინის ლორდ-კანცლერი ბალდვინი აპირებს საბშაბათს თემთა პალატაში განმარტების მიცემას ინგლისის პასუხის შესახებ.

ინგლისი დამოუკიდებლად გამოდგა.

ბერლინი. 8 მაისი. იუწყებიან, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს სრულიად დამოუკიდებელი პასუხი გაგზავნოს ბერლინში გერმანიის ახალი წინადადებების შესახებ. როგორც ამბობენ, მთავრობა გერმანიის წინადადებებს არა საკმაოთ გამოაცხადებს, მაგრამ არ უარყოფს მათ, არამედ შეეცდება მოლაპარაკების განახლებას გერმანიასა და მოკავშირეებს შორის, ამ საკითხის ღიათ დატოვებით იმისათვის, რომ მოაწესრიგოს მდგომარეობა, რომელიც ამ ჟამად ნაკლებ დამაკმაყოფილებელია.

გერმანია სრულიად განიარაღებულია

ბერლინი 8 მაისი. ინგლისის სამხედრო მინისტრის ამხანაგმა, პოლკოვნიკმა გინესმა, განაცხადა, რომ ინგლისის სამხედრო ექსპერტების აზრით, იარაღის გადაცემის შესახებ ვერსალის ხელშეკრულების დადგენილებების ცხოვრებაში გატარების შემდეგ გერმანია სრულიად განიარაღებულია.

ინგლისი უარს არ იტყვის მოლაპარაკებაზე.

პარიზი. 8 მაისი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ინგლისი გერმანიის წინადადებების გამო მიუთითებს გერმანიის მთავრობას ამ წინადადებების არასაკმაოსობაზე, მაგრამ გამოსთქვამს სურვილს მოლაპარაკების განახლების შესახებ.

ფოშს აინტერესებს პოზნანი და კრაკოვი.

ბერლინი 8 მაისი. ინგლისის გაზეთ „სტანდარტს" ძლიერ აფიქრებს ფოშის მგზავრობა პოლონეთში. ფოშს, ამბობს გაზეთი, ძლიერ აინტერესებს პოზნანი და კრაკოვი. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოზნანი პოლონეთის უახლოესი ქალაქია ბერლინთან, კრაკოვი კი—ზემო-სილეზიის გასაღებია.

იტალიის პასუხი.

პარიზი 8 მაისი. რომიდან იუწყებიან, რომ იტალიის მთავრობა გერმანიის ნოტაზე ცალკე პასუხს გასცემს.

იტალიის დიპლომატიურ და მთავრობის წრეებში გამოსთქვამენ აზრს, რომ გერმანიის წინადადებები არ არის საკმაო და შეუძლებელათ ხდის მოლაპარაკების დაწყებას.

რათ დაიჩქარეს.

რომი 8 მაისი. საფრანგეთის დიპლომატიური წრეები საფრანგეთ-ბელგიის პასუხის დაჩქარებას გერმანიის ნოტაზე მოკავშირეების მიერ განუხილველათ ხსნიან იმით, რომ მოკავშირეებს ეჭვი ეპარებათ საფრანგეთ-ბელგიის შეურიგებლობაზე და მათ სურვილში რაც არ უნდა დაუჯდეთ ცხოვრებაში გაატარონ ვერსალის ხელშეკრულება.

ირლანდია და ინგლისის მსოფლიო პოლიტიკა

თუმცა ინგლისის პრესა ცდილობს დაარწმუნოს ყველა, რომ საუკუნოებრივ კონფლიქტს ინგლისსა და ირლანდიას შორის ბოლო ელება, რომ „ამბოხებულები" მზად არიან დანებდენ, მაგრამ ინგლისის მთავრობის მოქმედება ამტკიცებს, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც მას სურს დაარწმუნოს ყველა.

და მართლაც, ინგლისი ყოველ დღე უფრო და უფრო მკაცრ რეპრესიებს მიმართავს ირლანდიის რევოლიუციონერების მიმართ. ის არა თუ ეხმარება ირლანდიის მთავრობას თავისი ჯარით და აქეზებს მას მიიღოს ბარბაროსული ზომები „ამბოხებულების" წინააღმდეგ, არამედ იქამდისაც მიდის, რომ ირლანდიის პოლიციას ხელში უგდებს ირლანდიის რევოლიუციონერებს და საკუთარ მოქალაქეებსაც კი, რომლებიც ირლანდიაში თავისუფალი რესპუბლიკის მომხრე არიან.

ჯერ კიდევ წარსულ თვეში ინგლისმა ნება დართო გადაესახლებიათ ირლანდიაში ინგლისის ტერიტორიაზე მცხოვრები 110 კაცი. სულ რამდენიმე ხნის წინეთ მან შეთხზა ზღაპარი შეთქმულების შესახებ არა მარტო იმისათვის, რომ საშუალება მისცემოდა გადაედგა არა კონსტიტუციონური ნაბიჯი, არამედ იმისთვისაც, რომ გაეჩუმებია ისინი, ვინც შეადგენს ოპოზიციას თემთა პალატაში, ის ათასი მუშა, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ადამიანის უფლებების ასე დარღვევის გამო.

ინგლისისათვის ცოტაა, რომ ირლანდიის ციხეებში იტანჯება 10.000 ახალგაზრდა, რომლებსაც არ სურთ იცნონ ხელშეკრულება, რომელიც მათ ქვეყანას მოახვია ლოიდ-ჯორჯმა; მისთვის ცოტაა ის, რომ მან ბრძანება გასცა დაეხვრიტათ ყველა ისეთები, რომლებიც ერსკინ ჩილდერსავით შესძლებდენ მასების ამოძრავებას.

და აი ახლა, როცა მოკლე ხნის წინათ მოკლეს ლიამ ლინჩი, ამბოხებულების ერთ მეთაურთაგანი, აუსტინ სტეკი კი—დე ვ ლერას მარჯვენა ხელი—დატუსაღებულია, ინგლისს სურს ერთხელ და სამუდამოთ მოუღოს ბოლო ყველა იმ „ხელის შემშლელებს", რომლებიც აიძულებენ მას ცხოვრებაში გაატაროს ის პრინციპები, რომელთა დასაცავად ვითომდა მან მონაწილეობა მიიღო ომში და აღიაროს ერების უფლება თვითგამორკვევაზე.

რათ დასჭირდათ რეპრესიების ასე გაძლიერება?

ბრიტანეთის იმპერია, როგორც ყველამ იცის, არ წარმოადგენს როგორც სხვა ევროპიელი ქვეყნები ცენტრალისტურ სახელმწიფოს. მისი შემადგენელი ნაწილები ერთგვარის ავტონომიით სარგებლობენ. თუ დღემდი მთელი მისი სიძლიერე მდგომარეობდა მის ელასტიურობაში, ლიბერალიზმში, რომელიც საშუალებას აძლევდა მას ეცვალა პოლიტიკა მის მიერ ანექსიით დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივი [illegible], ზნე-ჩვეულებების და კანონების მიხედვით, წასულიყო დათმობებზე, ამ დათმობებს მაინც აქვთ ერთგვარი საზღვარი, რომლის გადაცილება მას არ შეუძლია,—ეს საზღვარია მისი სამხედრო საჭიროებანი.

შეიძლება უფრო შორს წავიდა და თქმა, რომ რამდენათაც მეტ დათმობებზე მიდის ინგლისი ადმინისტრატიულ სფეროში, იმდენათ უნდა გაამაგროს ის სამხედრო ძაფები, რომლებიც მას თავის სამფლობელოებთან აკავშირებენ.

და მაშასადამე თუ ირლანდიას ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს დამოუკიდებლობის ერთგვარი უფლებებით, ეძლევა მას რაღაც პარლამენტის მსგავსი რამ, მხოლოდ იმ პირობით, რომ მის არმია მომავალშიც ინგლისის განკარგულებაში იქნება.

და მართლაც, რა იქნებოდა, რომ ახალი ომის შემთხვევაში, ირლანდია სარგებლობდეს სრული ავტონომიით? დაუშვათ, რომ ინგლისს მოუხდა კონფლიქტი ამერიკასთან და ირლანდიამ,—რაც ადვილად შესაძლებელია,—განაცხადა, რომ ის ნეიტრალიტეტს იცავს! ინგლისი, რომელიც მოკლებული იქნებოდა ირლანდიის არმიის დახმარებას, როგორც სტრატეგიულად, ისე ეკონომიურად მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა. ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს, ირლანდიამ, როგორც ყველამ იცის, ძლიერ ნაკლები სურვილი გამოიჩინა ინგლისის ინტერესებისათვის ბრძოლის. რა იქნებოდა მაშინ, რომ ირლანდია სრულიად დამოუკიდებელი ყოფილიყო და მის მოსახლეობას უარი ეთქვა ბრიტანეთის იმპერიის ინტერესებისათვის ბრძოლაზე?

ეხლა კი, როდესაც ეკონომიური კონფლიქტები დიდ სახელმწიფოების კაპიტალისტებს შორის უფრო და უფრო პოლიტიკურ ხასიათს ღებულობენ; როდესაც საკმაოა ორი—სამი სამრეწველო ტრესტის მიერ რომელიმე წარმოების მიღების უარყოფა, რომ მთელი მსოფლიო ცეცხლის და სისხლის მუქარის ქვეშ დააყენონ; ეხლა, როდესაც გაუმაძღრობამ და მეტოქეობამ, რომელთაც ნიადაგი მოუმზადა ჩესტერის პროექტმა, კვლავ წამოაყენა „დღის წესრიგში" აღმოსავლეთის საკითხი—ბრიტანეთის მთავრობა განსაკუთრებით დაინტერესებულია თავის სამხედრო ორგანიზაციის ხელშეუხებლობის შენარჩუნებაში ყველაფერი ეს საკმაოა იმის გამოსარკვევად, რომ ბრიტანეთის მთავრობა, თუმცა ეწევა თავის ხარჯზე საგაზეთო კამპანიას, რომელიც მიმართულია იმისკენ, რათა დაამტკიცოს, რომ ირლანდიის წინააღმდეგობა საბოლოოდ დაძლეულია,—მას ისე, როგორც არასოდეს, ეშინია იმ „ამბოხებულების", რომლებიც, რაც არ უნდა უყონ მათ, მაინც განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას.

ა. ვ.

„ლიუმანიტე"

ახლო აღმოსავლეთში

საფრანგეთის მუქარა.

პარიზი. 8 მაისი. სტამბოლში საფრანგეთის წარმომადგენელმა განუცხადა ადნან ბეის, რომ ოსმალეთის ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები საფრანგეთის ბანკების მიმართ, გამოიწვევს არა სასურველ შედეგებს

სირიის საზღვრებთან.

რომი 8 მაისი. ანგორიდან მიღებულ ცნობების თანახმად ანგორის მთავრობამ განუცხადა საფრანგეთის წარმომადგენელს, რომ სირიის საზღვრებთან ოსმალეთის ჯარი მოგროვილია ყოველგვარ მტრულ მიზნების გარეშე.

ჩესტერ-ს კონცესიები.

ანგორა. 6 მაისი, მიღებული ცნობებით ჩესტერთან ერთად მუშაობის მიზნით გაიგზავნა სპეციალისტების მთელი რიგი.

პირველი მაისი ანგორაში.

ანგორა. 6 მაისი. სტამბოლის გაზეთები აღნიშნავენ ანგორაში პირველი მაისის დღესასწაულის წარმატებით ჩატარებას და მიუთითებენ მუშათა ორგანიზაციების დემონსტრაციების გრანდიოზულობაზე. მუშათა ორგანიზაციები თავს იყრიდენ საბჭოთა მისიის შენობასთან.

საფრანგეთის წინააღმდეგ.

ანგორა. 6 მაისი გაზეთ „ოგიუტში“ მოთავსებულია მოწინავე წერილი, რომელიც სასტიკად ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ სტამბოლის ოკუპაციაში ინგლისელებისათვის ხელის შეწყობის გამო.

ათინის ბანკის დახურვა.

ანგორა. 8 მაისი. იტყობინებიან, რომ სტამბოლში დახურეს ათინის ბანკი.

საბჭოთა რუსეთის გემი მერსინში.

ანგორა 8 მაისი. 5 მაისს მერსინში ჩავიდა პირველი საბჭოთა გემი „კერჩი“. გემის მისვლას სიამოვნებით შეხვდა მთელი პრესა.

ფაშისტური ტერორი

რომი 5 მაისი. საპირველმაისო დღესასწაულის გამო ფაშისტური მილიცია ხევს ყველგან კომპარტიის მოწოდებებს, ახდენს მასიურ დაპატიმრებას და ძალადობას ყველგან გამეფებულია ტერორი, რომლის მსგავსი ჯერ არ ახსოვს დასავლეთ ევროპას. მიუხედავად ამისა, 4 მაისს მუშების ნაწილს არ უმუშავნია. მილანში პოლიციამ კონფისკაცია უყო „ავანტის“ საპირველმაისო ნომერს. დაპატიმრებულია კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა მთელი რიგი.

პოლონეთი და დანციგში

პოლონეთი იმუქრება.

ვარშავა 6 მაისი ამ უკანასკნელ დროის განმავლობაში პოლონეთ-დანციგის ურთიერთობა ძლიერ გამწვავდა. დანციგში ყოფნის დროს პოლონეთის პრემიერმა ვოიცეხოვსკიმ წარმოსთქვა იქ სიტყვა, რომელშიაც დაემუქრა დანციგს ბლოკადით ვოიცეხოვსკის სიტყვით, დანციგს არ სურს დაუქვემდებაროს თავისი პოლიტიკა პოლონეთის ინტერესებს და იბრძვის ეკონომიურ დამოუკიდებლობისათვის. დანციგის სენატის პრეზიდენტმა საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ დანციგის პოლიტიკა ნაკარნახევია მისი საკუთარი ინტერესებით

პოლონეთის მთავრობამ შესწყვიტა საქონლის გაზიდვა დანციგიდან პოლონეთის ტერიტორიის საშუალებით, რაც დიდ ზიანს აძლევს დანციგს. ვარშავში ჩავიდა დანციგის დელეგაცია პოლონეთის მთავრობასთან ხელახალი მოლაპარაკების დასაწყებად.

ინდოეთის მუშების და გლეხების მოთხოვნილება

კონგრესის აზრი.

კაბული. 6 მაისი. ლამორში გაიხსნა სრულიად-ინდოეთის კონგრესის მესამე სესია დასის თავმჯდომარეობით, რომელზედაც უკანასკნელმა შესავალ სიტყვაში სთქვა:

„ინდოეთის მცხოვრებთა 89 პროცენტს შეადგენენ მუშები და გლეხები და მათ ეკუთვნის კანონით სახელმწიფო. თუ ინდოეთის საშუალო კლასები ოდესმე ეღირსებიან თვითმართველობას, მაშინ მე გადავალ მუშების და გლეხების მხარეზე, რათა დავეხმარო მათ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებაში. მე მოვუწოდებ ინდოეთის მშრომელებს გაიგონ დასასრულს, რომ ისინი არიან სახელმწიფოს ჭეშმარიტი ბატონ-პატრონები“

იხილავს რა დასის სიტყვას, ინდოეთის ნაციონალური პრესა აღნიშნავს, რომ დასი ეხლა ომს უცხადებს არა მარტო უცხოელებს, არამედ აგრეთვე სამშობლოს კაპიტალსაც.

ჩინეთის მუშები ესალმებიან საბჭოთა რუსეთს.

პეკინი 6 მაისი. 5 მაისს კარლ მარქსის დაბადების წლის თავზე, პეკინში გაიმართა მასიური მიტინგი მუშებს შორის გავრცელდა ფურცლები ლოზუნგებით: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს“.

ჩინეთის სტუდენტების დემონსტრაცია

პეკინი 6 მაისი 4 მაისს პეკინის სტუდენტობამ იდღესასწაულა მეორე წლის თავი ჩინეთში სტუდენტობის აქტიურ მოძრაობის დაწყებიდან. მრავალ-რიცხვოვან მიტინგზე, რომელიც გაიმართა პეკინში, ორატორები აღნიშნავდენ, რომ სტუდენტების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მილიტარიზმის, არსებული მთავრობის და პარლამენტის დამხობა. დემონსტრაციის მონაწილეებმა დაამტვრიეს ფანჯრები სახალხო განათლების მინისტრის ბინაზე.

სოციალ-დემოკრატების გახრწნა

ამსტერდამელები ხელს უშლიან ერთიან ფრონტს.

ბერლინი. 5 მაისი. 3 მაისს ბერლინში ჩავიდა ფრანკფურტის კონფერენციის მიერ არჩეული დელეგაცია, რომელსაც დავალებული აქვს გამართოს მოლაპარაკება პროფკავშირების ამსტერდამის გაერთიანებასთან ომის და ფაშიზმის საფრთხის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის საკითხის შესახებ. ორთავე მხარემ საჭიროდ სცნო მოემზადონ საერთო მოქმედებისათვის. მოლაპარაკების დროს კავშირის მეთაურებმა ხაზი გაუსვეს შემდეგ მთავარ დაბრკოლებას ერთიან ფრონტის დაარსების საქმეში: ამსტერდამელების შეუთანხმებლობა მათ მიხლობილ საოლქო ორგანიზაციებთან და შემდეგ საერთო ნდობის უქონლობა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს საერთო მოქმედებას. ფრანკფურტის დელეგაციამ აღნიშნა შენიშვნის დაუსაბუთებლობა და განაცხადა, რომ მუშათა კლასის მისწრაფება ერთიან ფრონტისა და ბრძოლისაკენ უმაღლესი მიზანია და მთელი პასუხისმგებლობა მუშათა კლასის დამარცხებაში ეკუთვნის მათ, ვინც ხელს უშლის ერთიანი ფრონტის განხორციელებას.

სოციალ დემოკრატების და ნაციონალისტების დიდი კოალიცია.

ბერლინი 6 მაისი. გერმანიის საზოგადოებრივი აზრი ამ ჟამად დაინტერესებულია კუნოს მთავრობის გადასახლების საკითხით. ამ სფეროში უკვე სწარმოებს მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატებსა და სახალხო პარტიის შორის. შტრეზემანი მომხრეა სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმების და დიდი კოალიციის შექმნის ესალმება რა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების „სახელმწიფოებრივ თვითშეგნებას“, შტრეზემანი გამოსთქვამს სურვილს, რომ გერმანიაში მოისპოს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ბლოკი და დამყარდეს ყველა კლასების საერთო ერთსულოვანი თანამშრომლობა.

„ფორვერტს“-ი განცვიფრებით აღნიშნავს შტრეზემანის აზრს სოციალ-დემოკრატების შესახებ.

საქსონიის სოციალ-დემოკრატები საბოტაჟს უცხადებენ ერთიან ფრონტს.

ბერლინი. 5 მაისი. საქსონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო პრეზიდიუმმა აცნობა საქსონიის კომუნისტურ პარტიას, რომ ის უარყოფს პარტიის შეთანხმებას შვიდთა კომისიასთან, რომელიც არჩეული იყო საქსონიის სოციალ დემოკრატიული პარტიის საოლქო კონფერენციაზე.

სოციალ-დემოკრატები ჟანდარმებთან ერთად.

ბერლინი. 5 მაისი. 5 მაისს პრუსიის ლანდტაგის სხდომაზე პოლიციამ ხელი შეუშალა კომუნისტ კაცის გამოსვლას. ამან გამოიწვია მღელვარება კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. კომუნისტების წინადადება, რათა სასწრაფოდ განეხილათ მათი პროტესტი პოლიციის ჩარევის წინააღმდეგ და აგრეთვე მოთხოვნილება ლეინერტის გადაყენების შესახებ, ლანდტაგმა უარჰყო

სხვადასხვა ამბები

პოლონეთი

პოლონეთი ცდილობს გერმანიასთან უთანხმოების გამწვავებას.

ბერლინი, 5 მაისი. პოლონეთის მთავრობის დიპლომატიურ მოთხოვნილებას, რათა დახურულ იქნეს გერმანიის საელჩო ტორნში, გერმანიის პრესა იხილავს როგორც გერმანიისადმი პოლონეთის მტრული განწყობილების გამომჟღავნებას. გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ მოწინავე წერილში ამბობს, რომ პოლონეთი საფრანგეთის კარნახით ეძებს აშკარა განხეთქილებას გერმანიასთან. გაზეთის აზრით, პოლონეთში ფოშის და ლერონდის ერთსა და იმავე დროს ყოფნა არ არის შემთხვევითი მოვლენა.

ფოში პოზნანში.

პარიზი. 8 მაისი. მარშალი ფოში ჩავიდა პოზნანში, სადაც ის დაესწრო დიდ მანევრებს.

თავდაცვის ხელშეკრულების გაგრძელება.

პარიზი, 8 მაისი, პრაგიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ჩეხო-სლოვაკიას და რუმინეთს შორის ხელმოწერილია შეთანხმება ორივე მხარეს შორის საკავშირო თავდაცვის ხელშეკრულების სამი წლის გაგრძელების შესახებ.

ეტნას ამოხეთქვა.

პარიზი, 8 მაისი. დაიწყო ეტნას ვულკანური ამოხეთქვა. ვულკანის ხრელიდან ამოდის აუარებელი სითხე, რომელიც იღვრება სამი კილომეტრის მანძილზე.

ფოში თათბირობს პილსუდსკისთან.

პარიზი, 8 მაისი. მარშალ ფოშს თათბირი ჰქონდა პილსუდსკისთან.

საფრანგეთი

ავიაციის ახალი მიღწევა.

პარიზი. 8 მაისი. ფრანგმა ავიატორმა ბარბომ მოახდინა ორმაგი გადაფრენა, შეუჩერებლად, ლა-მანშზე ახალ გაზოლინიან მოტორით. ეს გადაფრენა 310 კილომეტრის მანძილზე მოხდა 4 საათის განმავლობაში, დაიხარჯა მხოლოდ 20 ლიტრი გაზოლინი, ე. ი. ერთი კილომეტრი მანძილის დაფარვა დაჯდა მხოლოდ 10 სანტიმი.

ინგლისის პრესა აღნიშნავს რა ამ გადაფრენას, მიუთითებს, რომ მიღწეულია შესაძლებლობა ჩვეულებრივი აპარატით გადაფრენის, რომლის მოტორი სიდიდით არ აღემატება ჩვეულებრივ მოტოციკლეტის მოტორის სიდიდეს ასეთი აპარატების მიერ დახარჯული სათბობი მასალის რაოდენობა მეტად მცირეა.

იტალია.

ეტნა ამოქმედდა.

პარიზი. 8 მაისი. კატანიიდან მიღებული ცნობით ეტნა ამოქმედდა. ნიაღვარმა დაფარა რამდენიმე სოფელი.

ინგლისი.

ბონარ ლოუ სამკურნალოდ.

რომი. 8 მაისი. ბონარ-ლოუ ახლა სამკურნალოდ იმყოფება ფლორენციაში, იქიდან გაემგზავრება რომს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

გლეხობასთან კავშირის გამაგრება.

მოსკოვი. ამხ. ვინოკუროვი „იზვესტიებში“ აღნიშნავს იმ კონკრეტიულ ზომებს, რომელნიც საჭიროა გლეხებთან კავშირის გასამაგრებლად. პირველ ყოვლისა, სწერს ამხ. ვინოკუროვი, საჭიროა სახელმწიფო კრედიტი. სახელმწიფო კრედიტი, რომელიც უფრო შეღავათიან პირობებში მიაწოდებს გლეხებს საშუალებებს, ვიდრე კერძო კაპიტალი, უეჭველია, ადრე თუ გვიან, განდევნის სოფლიდან კულაკს, კერძო მოვაჭრეს და საერთოდ კერძო კაპიტალს. ამ ჟამადაც სახელმწიფომ გადასდო მრავალი მილიონი მანეთი ოქროთი სასოფლო მეურნეობის ასადგენათ. ამ კრედიტის გამოისობით დაიწყო უკვე დამშეულ რაიონების აღორძინება. ამავე მიმართულებით მოქმედობს აგრეთვე სახელმწიფო სათესლე სესხი. საჭიროა, რომ ეს სესხი მძიმე არ იყოს გლეხისათვის და უფრო სასარგებლო იყოს, ვინემ კერძო კაპიტალის სესხი.

შემდეგ გლეხებთან დაკავშირების საქმეში დიდ როლს თამაშობს კოოპერაცია. აერთებს რა თავის ხელში მცირე ვაჭრობას, ის ფართოდ უნდა გაიშალოს სოფლად და კულაკის, ჩარჩის და ვაჭრის ადგილი დაიჭიროს. მან ფართო კრედიტი უნდა მისცეს მოხელეს, გლეხს და მიწის მუშას. მან უნდა შეიძინოს მათგან საქონელი უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვინემ ამას კერძო ჩარჩი შვება და მისცეს გლეხს და მოხელეს მასალა და შრომის იარაღები და როდესაც ის ამას მოახერხებს, მაშინ ის შეასრულებს სახელმწიფო კაპიტალიზმის ფუნქციებს, განდევნის კერძო კაპიტალს და ჩარჩს და მით შექმნის მჭიდრო კავშირს გლეხობასთან.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის.

სოფია. 6 მაისი. ბოლგარიის კომუნისტურმა პარტიამ 1 მაისს მთელს სახელმწიფოში მოაწყო დიდი მანიფესტაციები. მანიფესტაციები რამოდენიმე ასი ათასი მუშა და გლეხის მონაწილეობით დიდი აღფრთოვანებით იყო ჩატარებული. რეზოლიუციებში, რომელნიც გამოტანილი იყო კრებებზე, მუშები და გლეხები თხოულობდნენ მუშურ-გლეხურ მთავრობის შექმნას.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათომი

ბათომი. 8 აპრილი. აპრილის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურს ესტუმრა 14 საზღვარ-გარეთელი გემი. შემოტანის რაოდენობა გამოიხატება 3.401 კილოში, გატანა—19.472 კილო.

ლტოლვილები.

ბათომი. 7 მაისი. ცენტრიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში გადმოგზავნილია 3 მილიარდი მანეთი, რომელიც განაწილებულია ლტოლვილთა შორის; ლტოლვილები ბათომიდან იგზავნებიან აფხაზეთში და თვითეულ ოჯახს ეძლევა 3,5 მილ. მანეთი.

ოსმალო ლტოლვილთა პირველი პარტია, 875 კაცის შემადგენლობით, გაგზავნილია ბათომიდან 5 მაისს. ამ დღეებში განზრახულია მეორე პარტიის 445 კაცის გაგზავნა.

აჭარა

ჩაის პლანტაციებზე.

ბათომი 7 მაისი. სწარმოებს სამზადისი მუშაობა ჩაის მოსაკრეფად. მოკრეფას შეუდგებიან მაისის შუა რიცხვებში.

ტრაქტორები.

ბათომი. 9 მაისი. კახაბერის სახელმწიფო მამულში დაიწყო მიწის ხვნა ლიუცერნის და სიმინდის დასათესად.

მშრომელთა საზოგადოება.

ბათომი. 7 მაისი. დაბა „მწვანე კონცხში“ დაარსდა მშრომელთა ამხანაგობა, რომლის წესდება დამტკიცებულია აჭარის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ.

სააუქციონო დარბაზი.

ბათომი. 7 მაისი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიმართა აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებით გაუქმებული იქნენ ყველა სააუქციონო დარბაზები და ასეთები გადაეცეს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას.

აფხაზეთი

ხოხუმი. 7 მაისი. საამშენებლო კავშირის მუშების საზოგადო კრებამ დაადგინა ერთი დღის შრომის ხელფასი გადასდოს საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

დახმარება უმუშევრებს

სოხუმი. 7 მაისი. სახალხო კვების კავშირმა შრომის პირველი არტელისაგან მიიღო 5 მილიონი მანეთი კავშირის უმუშევარ წევრების სასარგებლოდ.

გაზაფხულის სეზონი

სოხუმი. 7 მაისი. აფხაზეთის კურორტებზე 15 აპრილს დაწყებული საკურორტო სეზონი პირველ ივნისამდი გაგრძელდება. პირველათ ემჩნევა, რომ ავადმყოფები ჩამოდიან რესპუბლიკების კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან—ციმბირიდან, ურალიდან და სხვა. ჩამოსულებიდან უმრავლესობა ინდუსტრიალური მრეწველობის მუშებია, რაც ყველაზე ნათელია უკანასკნელათ ჩამოსული პარტიიდან—35 კაცი, რომელშიც ქარხნის მუშები 95 პროც. შეადგენენ. ამის შესახებ გაზეთი „მშრომელი აფხაზეთის ხმა“ სწერს: „ავადმყოფების დიდი რიცხვი, განსაკუთრებით კი მუშების ჩამოსვლა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მუშათა წრეებში ქრება უნდობლობა საკურორტო მკურნალობისადმი და მასში მტკიცდება აზრი, რომ კურორტებზე შეიძლება განკურნება, სანატორიუმებში ყოფნა კი სარგებლობას იძლევა“

სომხეთი

კოოპერაცია.

ერევანი. 8 მაისი. 7 მაისს გაიხსნა სრულიად—სომხეთის კოოპერატიული კონფერენცია. საპატიო თავმჯდომარეებად არჩეული არიან: ამხ. ლენინი, ხიხჩუკი, ლუკაშინი და მიასნიკოვი. დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: მოხსენება პოლიტიკურ მომენტზე, მოხსენებები გამგეობის და ადგილებიდან, საბჭოთა კოოპერაციის უახლოესი პერსპექტივები, კოოპერატიული აღმშენებლობა და სხ.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ერევანი. 8 მაისი. მინდვრის სამუშაოს დაწყების გამო წერა-კითხვის უცოდინართა სკოლებში მეცადინეობა შეწყდა. განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით მაზრებში მეცადინეობა შეწყვეტილია მაისის ბოლომდე, ქალაქებში—30 ივნისამდე.

აზერბეიჯანი

ბაზრობა

ბაქო. 8 მაისი. ვინაიდან ბამბა ვაჭრობის მთავარი საგანი შეიქნება ბაქოს მომავალ ბაზრობაზე, ბაზრობის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის წინაშე ბამბის გადატანის ფასების 50 პროცენტით შემცირების შესახებ.

სოფლის საბჭოების რიცხვის შემცირება

ყუბა. 7 მაისი. ყუბის ალმასკომი სოფლის საბჭოების რიცხვს 120-დან 50-დე ამცირებს.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონული კომიტეტი

იუწყება, რომ ა. წ. 11 მაისს, ერთიანი პარტიული დღის ნაცვლად ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში საღამოს 5 ნახ. საათზე, შესდგება

მესამე რაიონის წევრების და კანდიდატების **კრება**

დღის წესრიგში—ამხ. **ელიავას** მოხსენება რ. კ. პ. მეთორმეტე ყრილობის შესახებ.

მდივანის მაგიერ **ფირალოვი.**

კვირას ა. წ. 13 მაისს,
ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის
სტუდენტთა კლუბის დარბაზში
(ყოფ. არტისტიულ სა—ბის საკონცერტო დარბაზი)
დანიშნულია
ქ. თბილისის ყველა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტ-კომუნისტების

საერთო საქალაქო კრება

დღის წესრიგი:

1) სტუდენტთა წარმომადგენლების კომიტეტის ცენტრალურ ბიუროს მოღვაწეობის ანგარიში.
2) ცენტრბიუროს ახლობელი ამოცანები.
3) ცენტრბიუროს არჩევნები.
4) მიმდინარე საქმეები.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.
დასაწყისი დილის 11 საათზე.
ცენტრბიუროს პასუხისმგებელ მდივანის მოადგილე—
ს. სტეფანოვი.

პარტიული მუშაობა ლიახვის მაზრაში მარტში

საერთო მდგომარეობა. საერთოდ პოლიტიკური მდგომარეობა მაზრაში აუცილებლად წინსვლის გზაზეა. გლეხურ მასას ეტყობა რევოლიუციონური განწყობილება და თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რაც აიხსნება უმთავრესად მიწის რეფორმისა და ანტი-რელიგიური კამპანიის ჩატარებით და სატყეო განყოფილების ძველი ბიუროკრატებისაგან გაწმენდით.

პარტორგანიზაციული მუშაობა. პარტიიდან გამორიცხული გლეხები ძლიერ სურვილს იჩენენ პარტიაში ხელახლად დასაბრუნებლად და თავის უფლებების ასადგენათ. ამასთან გამორიცხულებს ისე კარგათ და წესიერათ უჭირავთ თავი, როგორც ეს შეჰფერის ნამდვილ პარტიის წევრს. ძალიან იშვიათია (თითქმის სრულიადაც არ ყოფილა) შემთხვევა, რომ პარტწევრი პარტიიდან გამორიცხვის შემდეგ დასდგომოდეს კომუნისტებისათვის სამარცხვინო გზას, ან გული გასტეხოდეს კომპარტიაზე. უპარტიო მასა საკმაო ნდობითა და თანაგრძნობით ეპყრობა კომპარტიას. მარტის თვეში ჩატარებულია პარტკონფერენცია; შესდგა ერთი სხდომა პლენუმისა და სამი სხდომა (სამაზრო კომიტეტის) პრეზიდიუმისა. მოწვეულია ორჯერ ინსტრუქტორების თათბირი. უჯრედების კრებები ხდება კვირაში ერთხელ.

სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობა. გაუმჯობესება ეტყობა აგრეთვე სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობასაც. საანგარიშო თვეში მუშაობა გამოიხატა უმთავრესად სხვა და სხვა პოლიტიკურ და ეკონომიურ თემებზე კამპანიების ჩატარებაში. პოლიტ-განათლებამ გახსნა მაზრის მასშტაბით ხუთი სახალხო სამკითხველო და ორმოცი ქოხ სამკითხველო. აღებულ იქმნა აღრიცხვაზე ყველა წერა-კითხვის უცოდინარი წევრები პარტიისა და ახკომკავშირისა, მომზადებულია ნიადაგი მეცადინეობის დასაწყებათ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში.

მუშაობა ქალთა შორის. ქალთა შორის მუშაობას ეტყობა შესამჩნევი გამოცოცხლება. ყველა რაიონებში შესდგა უპარტიო ქალთა კრებები. მაზრის ცენტრში მოწყობილ იქნა უპარტიო ქალების ერთი კონფერენცია.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის. კავშირი პარტორგანიზაციისა ახკომკავშირთან მარტის თვეში შესამჩნევათ გაძლიერდა, რაც გამოიხატება ურთი-ერთ წარმომადგენლობაში, შეერთებულ კრებების მოწყობაში და შეერთებული ძალებით ანტი-რელიგიური და სხვა კამპანიების ჩატარებაში. მუშაობა ახალგაზრდათა შორის სწარმოებს დამაკმაყოფილებლათ. ახკომკავშირის ორგანიზაციას ემჩნევა ერთ სულოვნებათა და ფხიზელი განწყობილება. ჩატარებულია ახკომკავშირის ერთი სამაზრო კონფერენცია.

სურამი

წითელი ჯარის დახმარება გლეხობისადმი.

გამოზაფხულდა და სურამის საზოგადოებრივ პარტიულ ორგანიზაციებმაც, მეტის ხალისით მიჰყვეს ხელი მუშაობას. გამოცოცხლებას ხელი შეუწყო წითელ ჯარის ნაწილების ჩვენი ქალაქის მიდამოებში საზაფხულოდ დაბანაკებამ. ჯერ-ჯერობით ჯარის მცირე ნაწილი ჩამოვიდა, მოკლე ხანში კი სხვა ნაწილებსაც მოელიან და ჩვენი კუთხეც უფრო საქმიან და ხალისიან სახეს მიიღებს. ადგილობრივ პარტიულ უჯრედს ჰქონდა საერთო სხდომა ჩამოსულ წითელ ჯარის წარმომადგენლებთან, რომელთაც ჩვენ გავაცანით სურამის თემის მცხოვრებლების მდგომარეობა და ვსთხოვეთ დახმარება. წითელი ჯარის წარმომადგენელნი დიდის სიხარულით დაგვეთანხმნენ და განაცხადეს სურვილი ჩვენთან ერთად მუშაობისა. პირველ ყოვლისა ისინი დაჰპირდნენ თემში გაფუჭებულ შარა გზების და ხიდების გაკეთებას, ღარიბ მიწის მუშებისათვის სამეურნეო მუშაობაში დახმარების გაწევას, რომელთა სია ჩვენ მოგვთხოვეს; აგრეთვე მუშაობას კულტურულ დარგში, უფასო წარმოდგენების და კონცერტების გამართვით. როგორც სჩანს ზემო ნათქვამიდან წითელ არმიელი ამხანაგები ჩვენს თემს დიდს სარგებლობის მოტანას პირდებიან და ჩვენი ადგილობრივი პარტიული უჯრედისა და ალმასკომის მოვალეობაა წინასწარ გამოიმუშავოს გეგმა სად, რაში და როგორ იქმნას წითელ არმიელ ამხანაგების ძალა და ცოდნა გამოყენებული. მე აქ მინდა ერთ დიდ ასეთ საქმეზე მიუთითო ამხანაგებს: ძველ რკინის გზაზედ, რომელიც სურამიდგან მიდის წიფისკენ და დიდ როლს თამაშობს ჩვენი რაიონის ცხოვრებაში, მთელი წლის განმავლობაში იგი საურმე და ფეხით სავალი გზაა მახლობელ სოფლელთათვის, ზაფხულობით კი სასეირნო ადგილია მოაგარაკე და ავათმყოფთათვის. ეს გზა ილუპება და იშლება მდინარე სურამულასაგან და რამდენიმე ადგილას მთლად გაფუჭდა და თუ არ იქნება ახლო მომავალში მიღებული ზომები, მთელი გზა დაილუპება. წითელი არმიელი ამხანაგები, რომელნიც ამ საქმეში დაგვეხმარებიან ფიზიკური ძალით, დიდ სამსახურს გაგვიწევენ.

პარტიული უჯრედი ინიციატივით მუშაობს.

ჩვენმა პარტიულმა უჯრედმა ახალგაზრდათა კომკავშირის და თემის ალმასკომის დახმარებით ბევრი რამ გააკეთა სახელმწიფოებრივ ხასიათისა: სავსებით გაატარა თემში მიწის რეფორმა, რომელიც მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა ჩვენი მცირე მიწის ფონდით ცნობილ მხარეში, გაატარა ეკლესიების წინააღმდეგ კამპანია, რომელიც ბრწყინვალეთ დამთავრდა. თითქმის ყველა სარწმუნოების ეკლესიები დახურულია. ყოველივე ქონება და საანძური გადმოტანილია სურამის ალმასკომში და მათი გაყიდვით შეგროვილი თანხა მოხმარდება ჩვენი თემის კულტურულად აღდგენასა და აყვავებას. ჩვენივე დახმარებით კარგათ გატარდა გადასახადების აკრეფა თემში და ამ ჟამად ტარდება სამოქალაქო გადასახადები

სამსონ ბერძენიშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.
(9 მაისი)

ოქროს 10 მან.	15,000 ათასი.
ჩერვონეცი	9,000 ათასი.
გირ. სტერ. (ჩეკ.)	8,000 ათასი.
დოლარი	1,850 ათასი.
ოსმ. ქაღ. ლირა	1,350 ათასი.

ძვირფასი ლითონების კურსი
(9 მაისი)

ოქრო მისხალი 96 სინჯის - 3 მ. 60 კ., ოქრო 56 სინჯის—1 მ. 80 კ., ვერცხლი 84 სინჯის—7 კაპ., 1 მანეთი ვერცხლის ხურდა—18,5 კაპ.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება.

განწყობილება ხასიათდება დიდის გამოცოცხლებით. დიდი მოთხოვნილებაა ჩერვონცებზე, რის გამოც კურსი მათზე 9 მილიონ მანეთამდი აიწია ამიერ-კავკასიის მონეტით.

მუშკოოპის ფასები.
(9 მაისი)

პური თეთრი—25 ათასი, საპონი „ტოლლე“—230, საპონი ადგილობრივი მარმარილოს—230, შაქარი ფხვნილი—260, წუმწუმა—20, მარილი—35, ლობიო—18—20 ათასი.

საქონლის ბაზრის ფასები ბითუმათ.

ხორბალი ყუბანის—1100—1150, ადგილობრივი ხორბალი—1000, ლობიო—300—1200, ბრინჯი — 7000, ფქვილი თეთრი—2250, ადგილობრივი ფქვილი—1150, შაქარი რაფინადი—33 ლირა ყუთი, კარაქი პირველი ხარისხის—16.000, ჩაი „სოსიფროს“—102 მანეთი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

გადადუღებული ერბო, ცელები, ფოცხი, ბრინჯი, შაბიამანი, კაუსტიური სოდა, თუშური მატყლი, რუსული მანუფაქტურა, რკინა, ცემენტი, სკიპიდარი, ნაწლევები, თოკი, კანაფი, პერლოვ. ბურღული, ფქვილი „კრუპჩატკა“, ფანჯრის მინები, შპაგატი, ლურსმნები, ფოთოლი თამბაქო, ჩაქვის ჩაი, გოგირდის სიმჟავე რკინა, სპილენძი. საპონი ყოფ. „ტოლლე“, მარმარილოს საპონი, თივის სათიბი, ბამბა, გოგირდი „ბუდა“.

ბირჟის მოთხოვნილება.

ბამბა, ტექნიკური ცხიმი, საპონი ყოფ. „ტოლლე“, ფოთოლი თამბაქო, გოგირდი „ბუდა“. ქვამარილი, მატყლი, ბრინჯი, ჯაგარი, საპნის სუროგატი, ლურსმანი, ტექნიკური ცხიმი, ნაწლევები, შაბიამანი, ჩაი, ტყავები, მარცვლეული და პურის პროდუქტები.

განწყობილება საქონლის ბაზარზე.
(9 მაისი)

მარცვლეული და პურის პროდუქტებზე—შესუსტებულია წინა დღესთან შედარებით.

შაქრის და მანუფაქტურის ბაზრებზე—სუსტია. ნედლი მასალის ბაზარზე—გამოცოცხლებულია მატყლზე.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ განყოფილებაში

დამტკიცებულია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ სახალხო სასურსათო კომისარიატთან დადებულ ხელშეკრულების პროექტი უკანასკნელისათვის ყ. კუშნერის მაუდის ფაბრიკის იჯარით გადაცემის შესახებ.

მოწოდება

ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებლების მუშათა და [illegible] ტეტების სტუდენტობას.

ამხანაგებო!

პროლეტარულ რევოლიუციის ეპოქაში უმაღლესი სკოლა არის მთავარი სახელოსნო, რომლის გრდემლზე იჭედებიან და იწვრთნებიან მომავალი სპეცები.

ასეთი დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანა თხოულობს ჩვენგან დიდ ენერგიას, ცოდნის და ყოველმხრივი განვითარების შესაძენათ.

უმაღლეს განათლების პროცესში ყოვლად შეუძლებელია ამა თუ იმ ფაკულტეტის ლექციების, პრაქტიკუმის და გამოცდების ფარგლებით დაკმაყოფილება. ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ თანამედროვე უმაღლესი განათლება თავის სპეციალობის შესწავლასთან ერთად, მოითხოვს ცოდნის და კულტურის სხვა დარგების ფართო გაცნობას და საზოგადოებრივ ცხოვრების კითხვებში მონაწილეობის მიღებას.

ვცნობთ რა ყველა ამას, შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ მუშაობის ასეთ დიდ სფეროში საჭიროა უპირველეს ყოვლისა ძალის და საშუალების ეკონომია.

გამოთქმულ პრინციპების განსახორციელებლათ ტფილისის კომუნისტურ სტუდენტობის ცენტრალურმა ბიურომ დაადგინა შექმნას სტუდენტების მთლიანი საერთო ორგანიზაცია, რომლის მიზანია მოათავსოს სკოლის გარეშე განათლების და უმაღლეს სასწავლებლების [illegible] ვითარების მთელი სისტემა თავის ორგანიზაციაში—სტუდენტთა ცენტრალურ კლუბში.

ჩვენი კლუბის მთავარი ლოზუნგია მეცნიერების და ტეხნიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების, ლიტერატურის, ხელოვნების, ფიზიკური განვითარების და სპორტის საკითხების ათვისება სოციალისტური გაგებით.

სწორეთ და ფართოდ დაყენებულ სტუდენტთა საერთო კლუბი არის ჩვენი ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარებაში ჰარმონიის თავიდები, მაშასადამე უმაღლესი სკოლის არა ნაკლები მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადი ფაკულტეტების მეცნიერულ დისციპლინებთან შედარებით.

ცენტრალური ბიურო მოგმართავს თქვენ, ამხანაგებო, და მოგიწოდებს თითეულ რევოლიუციონურად მოაზროვნე სტუდენტს და დღემდე დაქსაქსულ სტუდენტთა კულტურულ ორგანიზაციებს—გაერთიანდნენ სტუდენტთა ცენტრალურ კლუბში, მისცეთ მას თქვენი ძალები და საშუალებანი. სტუდენტთა ცენტრალურ კლუბის გარეშე შეუძლებელია უმაღლეს სკოლაში ჩვენი ნიჭის სწორი და სრული განვითარება და, მაშასადამე,—ჭეშმარიტი უმაღლესი განათლება.

საქართველოს კომუნისტური სტუდენტობის ცენტრალური ბიურო.

პორტვეინის დამზადება.

ტრესტის მიერ სომხეთში მოწყობილია პორტვეინის დამზადება. პორტვეინის პირველი პარტია 2300 ვედრომდი უახლოეს დროში ჩამოტანილი იქნება თბილისში.

თამბაქოს ტრესტის ნაწარმოების გეგმა

თამბაქოს ტრესტის მიერ გამომუშავებულია ნაწარმოების გეგმა; რომლის მიხედვითაც სამი თვის განმავლობაში განზრახულია 160 მილ. პაპიროსის და 372,000 გირ. თამბაქოს გამოშვება, რაც შესაძლებელია შესრულდეს 750 მუშის ძალის საშუალებით. გამოშვებულ ფაბრიკატების თვითღირებულების გასაიაფებლად, განზრახულია მუშების შემოკლება, რომელთა რიცხვი ამ ჟამად უდრის 979, ზემოდ ნაჩვენებ რიცხვამდი და წარმოების შემდეგი კონცენტრაცია. ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად მოწვეული იქნება განსაკუთრებული თათბირი დაინტერესებულ დაწესებულებების და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობით.

რუსეთის შაქარი სპარსეთში

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობებით, აღძრულია საკითხი ჩრდილოეთ-სპარსეთში რუსეთის შაქრის თავისუფლად შეტანის შესახებ.

თეირანის გამოფენის გამო

აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის სამეურნეო-სამრეწველო ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღოს თეირანის ეკონომიურ გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება სექტემბერში. რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატამ მიმართა გზათა სახალხო კომისარიატს შუამდგომლობით, რათა შემცირებული იქნეს რკინის გზის ტარიფი იმ საქონელზე, რომელიც იგზავნება პალატის სახელით სპარსეთში გამოფენის რუსული განყოფილების მისამართით.

ასეთივე შუამდგომლობა აღძრა პალატამ აგრეთვე სპარსეთის მთავრობის წინაშე

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

გოგირდი. ბამბა. ცელები. ყუბანის ფქვ. „რაზმელი“. ჩაი. მარსელის საპონი. საპონი ყოფ. „ტოლლე“. სარდინები. სპილენძი. ტყვია. რკინა. თუჯი. გოგირდის სიმჟავე. ჩაქვის ჩაი. ქვამარილი. ფოთოლი თამბაქო. გადადუღებული ერბო. ლურსმანი, შპაგატი. ფანჯრის მინები. რუსული ასანთი. ფქვილი „კრუპჩატკა“. ფქვილი 50 ტონ. ბურღული. კანაფი. სახურავი რკინა. რუსული მანუფაქტურა. ცხვრის ნაწლევები. ცემენტი. თუშური მატყლი. კაუსტიური სოდა. შაბიამანი.

ბირჟის მოთხოვნილება.

მარცვლეული და პურის პროდუქტები. ნედლი ტყავეულობა. შაბიამანი. ნაწლევები. ტექნიკური ცხიმი. მზესუმზირას ზეთი. ლურსმანი. რუსული ასანთი რუსული მანუფაქტურა. საპნის სუროგატი. ჯაგარი. [illegible] ბამბა. ბრინჯი. მატყლი. ქვა-მარილი. ფოთოლი თამბაქო სოხუმის და ლაგოდეხის. საპონი ყოფ. „ტოლლე“.

კავშირი ევროპასთან.

იტალიაში, გერმანიაში და სხვა სახელმწიფოებში მგზავრობიდან დაბრუნებული ცეკავშირის წარმომადგენელი ამხ. ადანაია იუწყება, რომ ცეკავშირმა ევროპაში დაუკვეთა დიდძალი საქონელი საქართველოსათვის, რომლის მიღებას მოკლე ხანში მოელიან.

საზ. „ჩემო“-ს წევრთა საერთო კრება

(მეორე სხდომა).

დირექტორი დარახველიძე მოხსენებას აკეთებს საზ. „ჩემო“-ს ფინანსიური მდგომარეობის და კრედიტის საკითხის შესახებ.

აღნიშნავს რა საზოგადოების ბალანსის დამახასიათებელ თვისების ძირითად, სათადარიგო და როგორიც არ უნდა იყოს კაპიტალის უქონლობას, მომხსენებელი ამბობს, რომ საზ. „ჩემო“ საქართველოს მასშტაბით ძლიერ დიდი დაწესებულებაა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსიურად მრავალ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან და გადასახიდ ხარჯებს გარდა, ხშირად საჭირო ხდება ავანსების გაცემა, მაგალითად მტვირთავების პროფესიონალურ კავშირისათვის ან საზოგადოებისათვის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა გასატარებლად. ამიტომ „ჩემო“-ს, როგორც დამოუკიდებელ დაწესებულებას, რომელიც აერთიანებს ფირმებს, უნდა ჰქონდეს საკუთარი თანხები. მაგრამ მას უხდება ფირმების თანხებით სარგებლობა. საზოგადოება ურიცხავს ფირმებს მათ ფაქტიურ ხარჯებს; ამ თანხებიდან ნაშთი „ჩემო“-ს არ შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან ერთი ტონის დატვირთვა ჯდება დაახლოვებით 1 გირ. სტერლინგი და მაშასადამე 45,000 ათას ტონას გაზიდვისათვის დაახლოვებით 10 დღის ვადით დაახლოვებით 45,000 გირ. სტერლინგი. საჭირო ხდება ამ თანხის დაკავება იმ ფირმებისათვის, რომლებიც უცდიან მის მიღებას. თავის ოპერაციებისათვის ამით გართულდება მდგომარეობა რომლისაგანაც საჭიროა გამოსავალის პოვნა. საბჭომ გადასწყვიტა შექმნას საბრუნავი კაპიტალი ფირმების კუთვნილ თანხების გარეშე ამისათვის გადაწყვეტილია გაიგზავნოს უცხოეთის საწყობებში 10,000 ტონა პეროქსიდი, პროპორციონალურად ფირმების მონაწილეობისაან, მიღებული იქნეს ამის სამაგიეროდ სესხი, რომელიც მოხმარდება საბრუნავი კაპიტალის შექმნას, ხოლო პეროქსიდის რეალიზაციის შემდეგ თანხა, 50,000 გირ. სტერ. ზევით, მიეცეს მტვირთავებს.

ფირმების მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელი იქნებოდა საკრედიტო ოპერაციებით, მაგრამ ეხლა კრედიტის მიღება შეუძლებელია, რადგან ძლიერ ძვირი ჯდება. აუცილებელია მივმართოთ მთავრობას შუამდგომლობით, რათა მისი ნებართვით გახსნილი იქნეს აქ უცხოეთის რომელიმე ბანკის განყოფილება, ან დაარსებული იქნეს საკუთარი საკრედიტო დაწესებულება, თუნდაც რომ ბანკირთა კანტორის სახით.

პეროქსიდის ოპერაციის შესახებ ქ. თუმანოვი აღნიშნავს, რომ საზ. „ჩემო“-ს აგენტი ჰააგაში იტყობინება, რომ შესაძლებელი მიღებული იქნეს სესხი—3 გირ. სტერლინგი ტონაზე ტვირთების დარდანელიდან გატანის შემდეგ, ხოლო მისი ჩაბარებისა და მადანის ანალიზის შემდეგ, შეიძლება დანარჩენ 2 გირ. სტერლინგის მიღებაც.

სესხის გადახდა —ვალდებულებით ხდება 9 თვის ვადაში, კომისია არა უმეტეს 10 პროცენტისა.

ის. ვარაზაშვილი მხარს უჭერს საბჭოს დადგენილებას პეროქსიდის ოპერაციის შესახებ; ხოლო წინადადება საკუთარ საკრედიტო საზოგადოების მოწყობის შესახებ, როგორც სავსებით დაუმუშავებელი, არ შეიძლება განხილული იქნეს.

როგორც ზომა ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ის. ვარაზაშვილს მიაჩნია ის, რომ საზოგადოებას აქვს უცხოეთის ბანკებში დაბანდებული უმოძრაოდ აქ გამოშვებული ჩეკების გარანტიით საკმაო თანხა, რომლის გამოყენება შეიძლება კომერციული მიზნისათვის, როცა სარგებელსაც მოგვცემს.

სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლის ქ. მოდებაძის შეკითხვაზე, იქნება თუ არა დაკმაყოფილებული ფირმების ყველა პრეტენზიები, თუ დირექცია მიიღებს 50,000 გირ. სტერლინგს, დირექტორი ა. დარახველიძე უპასუხებს, რომ დაუყონებლივ იქნება დაკმაყოფილებული; რაც შეეხება საზოგადოების და სხვა და სხვა პირების და დაწესებულებების დავალიანებას, ამის ლიკვიდაციას დასჭირდება კიდევ ერთი თვე, რომლის შემდეგაც ფინანსიური დაბრკოლება განვლილად ჩაითვლება.

ქ. თუმანოვი მოითხოვს, რათა პეროქსიდის ოპერაციის მიუხედავად, შეუდგნენ საბრუნავი კაპიტალის შექმნას იმ შემოსავალით, რომელიც მიიღება გემების ცერტი პარტიიდან.

დირექტორი ა. დარახველიძე აცხადებს, რომ სასურველია ცერტე პარტიიდან მიღებული შემოსავალი იქცეს სათადარიგო კაპიტალად, თუ კრება იფიქრებს მის დაარსებას, რომლის შემდეგ შემოაქვს შემდეგი პროექტი კრედიტის საკითხის შესახებ.

„ვცნობთ რა, რომ მრეწველობას იაფ კრედიტის გარეშე არსებობა არ შეუძლია, დაევალოს საბჭოს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა მოეწყოს კრედიტი უცხოეთის ბანკის განყოფილების გახსნის გზით, ან უკიდურეს შემთხვევაში საკუთარი საშუალებებით და ამ საშუალებების შესახებ დაწვრილებით ეცნობოს სასწრაფოთ საერთო კრებას“.

რეზოლიუციის პროექტი ერთხმად იქნა მიღებული.

შემდეგ მიღებულ იქნა ის. ვარაზაშვილის მიერ წარმოდგენილი შემდეგი პროექტი საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ:

1. „ვცნობთ რა საჭიროდ საბრუნავი კაპიტალის შექმნას 50,000 გირ. სტერლინგის რაოდენობით, მოწონებული იქნეს საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით უცხოეთის საწყობებში იგზავნება 10 000 ტონა პეროქსიდი სამაგიეროდ სესხის მიღების მიზნით. მიღებულ სესხიდან საბჭოს განკარგულებაში გადაეცეს 50,000 გირ. სტერლინგი. საზოგადოების საბრუნავ საშუალებების შექნის მიზნით. პეროქსიდი რეალიზაციის შემდეგ საზოგადოების განკარგულებაში დატოვებული იქნეს 50,000 გირ. სტერლინგი, ხოლო ზედმეტი განაწილებულ იქნეს მტვირთავებს შორის.

2. „მასთან ერთად საერთო კრება ავალებს საბჭოს და საზოგადოების დირექციას. ყოველივე ზომებით მხარი დაუჭირონ საზოგადოების წევრებს მათი კუთვნილი თანხის თავის დროზე მიღებაში, უშუალოდ გადახდის საშუალებით, ან საზ. „ჩემოდან“ ფულის მიღების მიცემის უფლებით.

საფონდო-საქონლის ბირჟაზე

(საუბარი ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჩხენკელთან).

ბირჟა გაწმენდის შესახებ.

ფილტრაციის შემოღების შემდეგ ბირჟაზე არიან ისეთი ელემენტები, რომელთაც ვალიუტა აინტერესებს კომერციულ საჭიროებისათვის და არა ბირჟის თამაშისათვის, რაც აიხსნება მოთხოვნილების შემცირებით ოქროზე, რომელსაც იძენდენ უმთავრესად, სპეკულიაციისათვის; ბირჟის წევრთა ამას გარდა გაწმენდამაც მოგვცა განსაზღვრული შედეგები. თუმცალა სულ 9 კვირაა, რაც ბირჟა არსებობს, მაგრამ მაინც აღმოჩნდენ ზოგიერთი წევრები რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ერევნის მოედანთან და შემოპარული იყვნენ იმ მიზნით, რომ შეძენილი ვალიუტა გამოეყენებიათ შავს ბაზარზე. გადაწყვეტილია გაწმენდა ხდებოდეს პერიოდულად და უღირსი წევრები გაძევების გარდა აგრეთვე არ იქნენ სრულებით დაშვებული ბირჟაზე

რაც შეეხება სამეურნეო ორგანოებს, მათ ვალიუტით ბოროტმოქმედება თავიდან უნდა ააცდინოს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის დეკრეტმა წასრული წლის 5-დან 25 დეკემბრამდე და ა. | წ. 14-დან—28 აპრილამდე.

ბირჟის კრებების დროს შეცვლამ 11-დან 12 საათამდე და დაუყოვნებლივ ანგარიშის გასწორებამ ვალიუტაზე მოგვცა აგრეთვე დადებითი შედეგები და ამჟამად არ აქვს ადგილი ხელახლად გაყიდვას ბირჟის ორდერების, რომელთა განაღდებას ზოგიერთი საკრედიტო საზოგადოებანი ახდენდენ შემდეგ დღეში.

ყველა ზემოდ მოყვანილმა ზომებმა და აგრეთვე დამსჯელ ორგანოების ჩარევამ „ქვიოტკინიკების“ გაცხოველებულ მუშაობაში ხელი შეუწყვეს ვალიუტაზე ვაკხანალიის შეჩერებას და უკანასკნელ კვირაში ვამჩნევთ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების შედარებით განმტკიცებას.

საჭირო ზომები.

კურსი თითქმის ყველა სავალიუტო ერთეულს მისცა ოქროს ათ-მანეთიანმა, რომელიც 1 ნახ. თვის განმავლობაში მოსცილდა ეკონომიურ ბაზას და გამოვიდა საქონლის ინდექსის დაქვემდებარებისაგან. უკანასკნელი გარემოება ამტკიცებს იმას, რომ ოქროს მანეთმა დაჰკარგა სყიდვითი საშუალების ხასიათი, ის არ ანსახიერებს ფასს დანარჩენ საქონელთან და არის საშუალება ბირჟის თამაშისა და არა ვაჭრობისათვის. ეს მით მტკიცდება, რომ ოქროზე ფასის აწევა გაცილებით წინ უსწრებს საქონლის ფასის ზრდას.

ოქროს ათ მანეთიანმა იქცა ფეტიშად ბირჟის მოთამაშეებისათვის. თუ რამდენად ჩამოსცილდა ის მტკიცე სავალიუტო ერთეულებს, ეს იმიდან სჩანს, რომ ინგლისის გირ. სტერლინგი, რომელიც პარიტეტით ოქროზე ღირდა 9 მ. 60 კაპ., ეხლა ღირს ჩვენი ოქროთი 5 მ. 84 კაპ., ხოლო ამერიკის დოლარი 1 მან. 94 კაპ. ნაცვლად—1 მან. 38 კაპ.

წინად, როდესაც ბათომში დიდი გასავალი ჰქონდა უცხოეთის პროდუქციას და მისი საშუალებით უმთავრესად კერძო ვაჭრებს შემოჰქონდათ ამიერ-კავკასიაში შემოტანილი საქონელის (უმთავრესად უვარგისის) 85 პროცენტი, მაშინ მოთხოვნილებას ვალიუტაზე ჰქონდა გამართლება და ოქრო არ სცილდებოდა თავის შინაგან ღირებულებას, მაგრამ ბათომში შემოზიდვის შეწყვეტიდან დაიწყო ბუნებრივად ლტოლვა საბჭოთა რუსეთისა და მისი ცენტრის—მოსკოვისაკენ, რომელსაც ამიერ-კავკასია უკანასკნელ წელიწადში მჭიდროთ დაუკავშირდა ეკონომიურად და კომერციულად.

მაშასადამე საანგარიშო ერთეულად აქ შეიძლება იყოს ის ვალიუტა, რომელიც არსებობს ანგარიშისათვის მოსკოვში; ამავე დროს მოსკოვმა დიდი ხანია მიატოვა ოქროს ანგარიშის გამოყენება და გადავიდა ბანკნოტების ანგარიშზე, რამაც უსათუოდ ხელი შეუწყო განსაზღვრული წონასწორობის შენარჩუნებას ფულის და საქონლის ბაზრებზე. აქაც საჭიროა ისეთი ანგარიშის შემოღება ეკონომიურ და კომერციულ ურთიერთობაში, რაც ძლიერ გააჯანსაღებს ჩვენს ფულის ბაზარს.

რ. ს. ფ. ს. რ. ტრესტების და ორგანიზაციების თითქმის ყველა განყოფილებები და კანტორები საქონლის ყიდვა-გაყიდვას აწარმოებენ ჩერვონცებით.

დატუსაღება მოხდა ბირჟის გარეშე.

დამსჯელმა ორგანოებმა ზოგიერთ „ბირჟევიკების“ წინააღმდეგ მიიღეს ზომები, რომელსაც არავითარი კავშირი არ ქონდა ბირჟასთან და ბირჟის ოპერაციებთან ხმებს ავრცელებენ შავი ბირჟის ელემენტები იმისათვის, რომ დააფრთხონ კომერსანტები ოფიციალური ბირჟიდან, რათა განაგრძნონ თავიანთი არსებობა და ყვლეფა ხალხის იმ ნაწილის, რომელიც ადვილად ვერ ერკვევა შექმნილ პირობებში.

ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ვინმე დასჯილი ყოფილიყოს ბირჟის ოპერაციისათვის. პირიქით, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის დეკრეტით (14 აპრილიდან) ყველა ვალდებულია აწარმოვოს სავალიუტო ოპერაციები ბირჟის ან სახელმწიფოს საკრედიტო დაწესებულებების საშუალებით და ბირჟის გარიგებებს აქვთ კანონიერი ძალა.

აქ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც ბირჟაზე ვალიუტას იძენენ სპეკულიაციის და შავს ბაზარზე გამოყენებისა და არა კომერციული მიზნით, აქ კანონი არ იცავს შეძენილ ვალიუტას ისევე, როგორც იარაღის თავისუფლად და კანონიერად ყიდვა არ იძლევა გარანტიას იმ შემთხვევისათვის, როდესაც ამ იარაღით გამოწვეული იქნება ვინმეს სიკვდილი ან დაჭრა.

უკანასკნელ შემთხვევაში იარაღიც ჩამორთმეული იქნება და დამნაშავე დაისჯება.

სამაზრო აღმასკომების რევიზია

(საუბარი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. გეგეჭკორთან)

ამ ორი წლის განმავლობაში სამაზრო აღმასკომების განყოფილებების მიერ სახალხო განათლების, სამეურნეო, აგრარულ და სხვა დარგებში ჩატარებული მუშაობა არ იყო სავსებით ნათელი სახალხო კომისართა საბჭოსათვის. და თუ ეს მუშაობა შუქდებოდა, მხოლოდ ცალმხრივათ, რადგან ისინი, ვისაც ცნობები უნდა მოეცა, აშუქებდენ მხოლოდ მუშაობის იმ ნაწილს, რომელიც კარგათ გაკეთდა, იმაზე კი, რომელიც კარგათ არ გაკეთდა, ან ვერ შეასრულეს, სდუმდენ. ამას გარდა მაზრებთან არ ყოფილა მტკიცე კავშირი.

ამ რიგად, სახალხო კომისართა საბჭო, რომელსაც ქონდა მხოლოდ ცალმხრივი ანგარიშები, ან სრულებით არ ქონდა ასეთები, მოკლებული იყო საშვალებას შეექმნა თავის საერთო შთაბეჭდილება—მუშაობის მიმდინარეობის სურათი და მაშასადამე, არ შეეძლო შეესრულებიათ თავისი ამოცანა მუშაობის საერთო და უშუალო ხელმძღვანელობა და მუშაობის სუსტი პუნქტების გათვალისწინების საშუალებით, გადაესროლა იქ საკუთარი ძალები და საერთოდ მიემართა მუშაობა ადგილებზე.

გაუწია რა ანგარიში ამ მდგომარეობას, სახალხო კომისართა საბჭომ დადგენილების სახით მოსთხოვა ყველა სახალხო კომისარიატებს პერიოდულათ წარმოადგინონ: თვიური, სამი თვის, ნახევარი წლის და წლიური ანგარიშები და მოხსენებები ადგილობრივ მუშაობის მდგომარეობის და თავისი მოსაზრებები ახლობელი მუშაობის შესახებ.

ამ ანგარიშებს უკვე ვიღებთ, მაგრამ რადგან ისინი შეეხებიან ა. წ. იანვარი მარტის პერიოდში შესრულებულ მუშაობას, 1921 წლის მარტიდან წარმოებული მუშაობის საერთო სურათს ისინი ვერ მოგვცემენ. მუშაობა კი სწარმოებდა და უნდა გვქონდეს ერთგვარი წარმოდგენა მასზე იმის გარეშე—შეცდომით სწარმოებდა ის თუ უშეცდომოთ.

დღემდე ცალკე მაზრებში იგზავნებოდა ცალკე პირები, რომლებიც ასრულებდენ სარევიზიო-საკონტროლო ფუნქციებს, ადგენდენ აქტებს და მოახსენებდენ ამის შესახებ. მაგრამ, რადგან დაისვა საკითხი მთელ მუშაობის, საქმის მთელი დაყენების შესწავლის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ აღიარა სამაზრო აღმასკომების გამოკვლევის და ინსტრუქტორობის მიზნით მთელი მათი მუშაობის დარგებში, კომისიის შედგენა ყველა სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებისაგან.

ასეთი კომისიის შედგენით მიღწეულია ყველა განყოფილებების მუშაობის ერთდროულად გამოკვლევის შესაძლებლობა და თუ განყოფილებებს შორის უთანხმოებას აქვს ადგილი, შესაძლებელი ხდება სახკომისარიატების წარმომადგენლების მონაწილეობით შეთანხმების მიღწევა, მეორე მხრით გამოკვლევის მუშაობა ჩქარა დამთავრდება და სახალხო კომისართა საბჭოს ექნება ინფორმაცია ადგილობრივ შესრულებული მუშაობის შესახებ.

17 აპრილს კომისია გაემგზავრა ოზურგეთის მაზრაში. კომისიისაგან მიღებული ინფორმაციიდან სჩანს, რომ მან არა თუ სწორათ გაიგო თავისი მოვალეობა, არამედ ერთი ორად გაანაღდა მასზე დამყარებული იმედები და გამოკვლევის დროს ისწავლის არა მარტო სამაზრო აღმასკომების მუშაობის სპეციალურ საკითხებს, არამედ ხალხის მასების დამოკიდებულებასაც საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

მეორე კომისია გაიგზავნება აღმოსავლეთ-საქართველოში. უფრო სერიოზული მომზადების შემდეგ ასეთი კომისია გაიგზავნება ავტონომიურ რესპუბლიკებში.

აზრთა სხვა და სხვაობას ამ კომისიების გაგზავნის შესახებ სახალხო კომისართა წევრებს შორის ადგილი არა აქვს, მაგრამ სხვა და სხვანაირად ფასდება მათი მნიშვნელობა. პირადათ მე ვფიქრობ, რომ თუ კომისიები შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, ამით მომავალ მუშაობას ჩაეყრება მტკიცე ფუნდამენტი, რადგან სახალხო კომისართა საბჭოს ექნება ადგილობრივ მუშაობის სრული სურათი და ამრიგად შესაძლებლობაც მომავალში ასახოს გეგმაშეწონილი მუშაობა და მიზანშეწონილათ დახარჯოს თავისი ძალები და საშვალებები.

ადგილობრივ მუშაობის ამ სახით გამოკვლევა—საქართველოში ახალი საქმეა, მაგრამ ასეთი მუშაობის გამოცდილება არის საბჭოთა რუსეთში: 1918 წ. სამხრეთ-რუსეთში (ჩრდილო კავკასია), 1920 წ. ციმბირში და, როგორც გადმოგვცემენ, ასეთი კომისიების მუშაობა საფუძვლათ დაედვა გეგმიან მუშაობას. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენშიც ასეთი კომისიების მუშაობა სათანადო ნაყოფს გამოიღებს.

მიწის რეფორმის შედეგები გორის მაზრაში

გორის მაზრამ პირნათლად შეასრულა მთავრობის დავალება და 15 მარტამდის დაამთავრა რევოლიუციონური მიწის რეფორმა. მდგომარეობა უცვლელი დარჩა მთა ადგილებში ვინაიდან ამ ჟამადაც იქ თოვლი ძევს და შეუძლებელი იყო ამ მხრივ მუშაობა. შედეგები ასეთია: სულ მაზრაში **ჩამორთმეული თვრამეტი ათას ხამას ხუთი დღიური მიწა.** (18,305 დღ.) აქედან დაკმაყოფილებულია ოთხი ათასამდე ღარიბ ლატაკი და ნამდვილი მიწის მუშა გლეხი. სასაცილოა ის გარემოება, რომ **თვრამეტი ათასი დღის მიწა** იყო თავადაზნაურების, ჩარჩ ვაჭრების და სოფლის წურბელა-კულაკების ხელში. და ეს იმ დროს, როდესაც ოთხი ათასი უმიწაწყლო გლეხი **ხალალოდ** ხმარობდა ამ მამულს და თავის ამაგს აძლევდა ამ მუქთა-ხორებს. ამ გარემოებას ერთხელ და სამუდამოთ მოეღო ბოლო. ბატონ-ყმობის ნაშთი მოსპო საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც შეურყევლად სდგას მუშების და გლეხების ინტერესების სადარაჯოზე. ერთს არა სასურველ გარემოებას ჰქონდა ადგილი რეფორმის ჩატარების დროს: სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ თუ რომელიმე სოფელს დარჩებოდა თავისუფალი ფონდი მიწებისა და იმავე დროს მეზობელ სოფელს არა ღმოაჩნდებოდა საკმაო რაული ღარიბ ლატაკების დასაკმაყოფილებლათ ნორმის ფარგლებში, ასეთი თავისუფალი ფონდი უნდა გადასულიყო მეზობელ სოფლის უმიწაწყლო გლეხების განკარგულებაში. სწორედ ასეთი სამართლიანი და მიზანშეწონილი დადგენილება აღმასკომის პრეზიდიუმისა იყო მიზეზი მიწების **გადამალვის.** თითქმის ყველა სოფლის მიწის კომიტეტის წევრნი იჩენდნენ ერთგვარ „პატრიოტობას“ და რომ მეზობელ სოფლის გლეხკაცობას არ ესარგებლნა შედარებით უფრო მიწით მდიდარ სოფლის აგარაკიდან, ისინი (მიწკომის წევრნი) მიმართავდნენ ამ საშუალებას-გადამალვას. განზრახ ნაკლები ფონდის ჩვენებას და სხვას. რასაკვირველია, სამაზრო მიწათ მოქმ. განყოფილებას არ ჰქონდა საშვალება სისწორით გამოეკვლია მიწკომის წევრთა ჩვენებანი, ტეხნიკური ძალების უქონლობისა გამო და თვით რეფორმაც ტარდებოდა ისეთი ტემპით, რომელიც არ საჭიროებდა ამგვარ დაწვრილმანებას, თუ ეს შეიძლება ასე ითქვას.—საერთოდ კი **დიდი აზრი** ამ რევოლიუციონური რეფორმის სისწორით და შეურყევლად არის დაცული: **ფეოდალური ნაშთები ძირიან ფესვიანად აღმოფხვრილია და ღარიბ-ლატაკი, მიწის მუშა გლეხი დაკმაყოფილებულია.** რეფორმამ ჩვენ დაგვანახვა მრავალი რაიონები, სადაც დიდი მიწის სივიწროვეა და იქაური ლატაკი გლეხი დარჩა ისევ ლატაკად და ჩვენი რეფორმის მას არაფერი გაუკია: საჭიროა მათ მიექცეს უდიდესი ყურადღება და მათი **გადასახლების საკითხი** გადაიქცეს მორიგ ამოცანად. მით უმეტეს, რომ ამის მსურველი მრავალია. ვინაიდან გორის მაზრაში არის ისეთი მინდვრები, როგორც „დედოფლის“ და „ტირიფონის“,—გადასახლების საქმის მოგვარება შედარებით ადვილად მოხერხდება გლეხს არ მოუხდება ჰავასთან შეჩვევა და იგი თავს იგრძნობს ისევ „თავის მიწა-წყალზე“. გორის მაზრაში ჯერ არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯი ამ „გადასახლების“ და ახალშენების საქმის მოსაგვარებლად. საჭიროება კი, ვიმეორებ, დიდია. სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილებასთან ეხლავე უნდა მოეწყოს გადასახლების ქვე-განყოფილება, რომელსაც დაევალება: მჭიდრო დასახლებულ სოფლების განტვირთვა, უმიწაწყლო რაიონებიდან გლეხების გადასახლება მიწით მდიდარ რაიონებში და ახალშენების მოწყობა. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება რეფორმას მაშინ, როდესაც რეფორმის ჩატარება და გადასახლების საქმე ერთად იქნება ჩატარებული, სწორედ მაშინ სავსებით შევასრულებთ მთავრობის და პარტიის დავალებას. საჭიროა იმავე სისწრაფით და ენერგიით, როგორც მოხდა **ფეოდალურ ნაშთების** აღმოფხვრა, მოვკიდოთ ხელი გადასახლების საქმესაც.

გორის მაზრის საადგილ-მამულო განყოფილების გამგე **მ. მეხრაპოვი.**

წითელ ჯარში

ცალკე საგაუბიცო ბატარეია.

1.

პოლიტმუშაობა. აღნიშნულ ნაწილში პოლიტმუშაობა მიდის. ყოველდღიურად: იკითხება მოხსენებები მომენტის და სხვა პოლიტიკურ თემებზე, რომლის შემდეგ იმართება აზრთა გაცვლა გამოცვლა.

კლუბის მუშაობა. კლუბის მუშაობა ნაწილში საშუალოა. ნაწილს არ აქვს თავისი საკუთარი კლუბი, სარგებლობს არტილერიის საერთო კლუბით.

წარმოდგენები. დრო გამოშვებით იმართება წარმოდგენები, რომელსაც მართავს დრამატიული წრე წითელ-არმიელებისაგან შემდგარი. პიესები იდგმება სარევოლიუციო რეპერტუარიდან.

წრეების მუშაობა. ახალი წვეულთა მოსვლის შემდეგ განზრახულია წრეების სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა. წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად ზომებია მიღებული. ახლად გაწვეულებში მრავლად არიან წერა-კითხვის უცოდინარნი, რომელთაც გულით სურთ დაეუფლონ სწავლა განათლებას.

პარტიული მუშაობა. პარტიული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას. კომჯგუფის მუშაობა სისტემატიურად მიმდინარეობს.

კედლის გაზეთი. აგრეთვე გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ, როგორც წითელ-არმიელნი, აგრეთვე უფროსი შემადგენლობაც.

ახლად გაწვეულნი. ახლად გაწვეულების შორის სულიერი მდგომარეობა საუცხოვოა, ყველას გულწრფელად სურს სამსახური გაუწიოს საბჭოთა ხელისუფლებას და დაიცვას საქართველოს რესპუბლიკა, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან.

პროფკავშირებში

ცირკულიარული.

ყველა პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებს, სამაზპროფბიუროებს, სამაზრო განყოფილებებს ადგილკომებს, რწმუნებულებებს და დელეგატებს.

უკანასკნელ დროს სხვა და სხვა ორგანიზაციების მიერ შემოწირულების მოგროვების მიზნით, კამპანიების ჩატარებამ ფართო ხასიათი მიიღო. ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები, მიუხედავათ ჩვენ მიერ არა ერთხელ გაფრთხილებისა, რათა არავითარი შეწირულება მუშა მოსამსახურებს შორის გატარებული არ ყოფილიყო, გარეშე პროფკავშირთა საბჭოს დირექტივებისა,—სხვა და სხვა მოსაზრებით მაინც ატარებენ ასეთ კამპანიებს და აგროვებენ შეწირულებებს.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო, ითვალისწინებს რა, რომ ასეთ უთავბოლო შემოწირულებების ჩატარება კავშირის წევრებს მუშა მოსამსახურეთა შორის, ზედმეტ ტვირთათ აწევა მათ ბიუჯეტს, კატეგორიულ წინადადებას გაძლევთ, რათა არც ერთი ასეთი შეწირულებები არ გაატაროთ კავშირის წევრებს შორის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის შესახებ იქნება განკარგულება პროფკავშირთა საბჭოსაგან, წინააღმდეგ შემთხვევებში, აღნიშნულ წესის დამრღვევი პირები დასჯილი იქნებიან პროფკავშირთა დისციპლინის მთელი სიმკაცრით.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მდივანი **გ. ყურულიშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების გამგე **მარქაროვი.**

საბეითლო სექციაში

საბეითლო სექციამ აპრილში მოიწვია საქალაქო ყრილობა, სადაც არჩეულ იქნა საორგანიზაციო ბიუროს შემადგენლობა.

ადგილკომების მუშაობა

აპრილის განმავლობაში ადგილკომების მუშაობა გამოიხატა სატარიფო შეთანხმების და ახალ-კოლექტიურ ხელშეკრულების დადებაში. პირველ მაისისათვის კავშირის აღრიცხვით ქალაქის ფარგლებში ირიცხებოდა სულ 26 ადგილკომი.

მუშაობა პროვინციაში

საანგარიშო თვეში კავშირმა მოაწყო ერთი საოლქო ყრილობა. ყრილობაზე გაგზავნილ დელეგატებს დაევალა ადგილობრივ განყოფილებების დათვალიერება.

დახმარება სიღნაღის მაზრას.

კავშირმა სიღნაღის სამაზრო განყოფილებას გაუგზავნა საორგანიზაციო საქმეების მოსაწყობად 30 მილ. მანეთი.

წევრთა რიცხვის რაოდენობა.

1 მაისისათვის რესპუბლიკის მასშტაბით წევრთა რიცხვი უდრიდა—6 177 კაცს. მათ შორის ქალაქზე მოდიოდა—3.628 წევრი.

ყრილობის გადადება.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სრულიად საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა გადაიდო 1 ივნისისათვის.

ამიერ-კავკასიის კონფერენციის გადადება.

იმავე პრეზიდიუმის დადგენილებით ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა კონფერენცია გადაიდო 5 ივნისისათვის.

პროფკავშირთა საბჭოში.

პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებაში.

ქართულ მუშათა ფაკულტეტებზე წმენდა.

დასრულდა ქართველ მუშათა ფაკულტეტების წმენდა კომისიამ დაითხოვა 54 კაცი. უმრავლესობა დაუსწრებლობის გამო არის დათხოვნილი.

ოვანეს თუმანიანის საპატივცემო საღამო.

ამ დღეებში პროფკავშირთა კლუბში „აიარტუნის“ საზოგადოების მიერ გამართულ იქნება საღამო ოვანეს თუმანიანის ხსოვნის აღსანიშნავად.

მეტყევეთა კლუბში.

10 მაისს, საღამოს რვა საათზე, ამხ. სუდაკოვი წაიკითხავს მე-4 ლექციას: „მზე და პლანეტები“. დასწრება უფასოა.

მედ. სანიტარულ კავშირში.

კავშირის საორგანიზ. განყოფილების მოქმედება აპრილის განმავლობაში.

უმუშევართა საკითხის მოწესრიგება.

უმუშევართა სამუშაოზე დროზე გაგზავნის მიზნით კავშირის საორგანიზაციო განყოფილების დადგენილებით ყოველთვე სწარმოებს უმუშევართა ხელახალი რეგისტრაცია.

კავშირის წევრთა გაწმენდა.

შედგენილ იქნა კომისია კავკასიის ცალკე არმიის საბეითლო პერსონალის კავშირის წევრთა გაწმენდის მოსახდენად. კომისიის მიერ დამუშავებული მასალები წარდგენილ იქნა საორგ. განყოფილებაში, რომელმაც კავშირის წევრად დაამტკიცა 53 ბეითალი.

მუშაობა კავშირის ახალგაზრდათა წევრთა შორის.

აპრილის განმავლობაში დიდი ყურადღება ქონდა მიქცეული მუშაობას კავშირის ახალგაზრდა წევრთა შორის. მოწვეულ ახალგაზრდათა საერთო საქალაქო კრება, სადაც გაკეთებულ იქნა მოხსენებები ახალგაზრდობის უფლებრივ მდგომარეობისა და საორგანიზაციო საკითხების შესახებ. არჩეულ იქნა წარმომადგენელი კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან მუდმივი კავშირის ქონის მიზნით აგრეთვე მოწვეულ იქნა ჯანმრთელობის კომისარიატში მოსამსახურე ქალთა კრება, სადაც გაკეთებულ იქნა მოხსენება ქალთა უფლებრივ მდგომარეობის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დროს- განმეორებით წინადადება მიეცა ადგილკომებს შეიყვანონ ადგილკომების შემადგენლობაში ქალები.

საექიმო სექციის მუშაობა.

აპრილში მოხდა სრულიად საქ. ექიმთა ყრილობა, რომელმაც ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილებები გამოიტანა საორგანიზაციო საკითხების, შრომის დაცვის, სოციალურ დაზღვევის, პროფეთიკის, სატარიფო და სხვა საკითხების შესახებ. ყრილობამ ნათლად დაამტკიცა, რომ პროფმოძრაობას ექიმთა შორის ღრმა ფესვები აქვს მოკიდებული.

სააფთიაქო სექციაში.

აპრილის განმავლობაში მედიკო-სანიტარულ კავშირის სააფთიაქო სექციაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა. მაისში მოწვეული იქნება სექციის ბიუროს გაფართოებული პლენუმი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად გაირჩევა ფარმაცევტთა სექციის ანგარიშები.

ზ. ზ. ძიძიგურებო, ფრთხილად!

(ვისიც ჯერ არს საყურადღებოდ)

მე-109-ე შრომის სკოლაში არის ვინმე მოქ. ძიძიგური, კაცი უდიერი უკიდურესობამდე. ის ამეცადინებს ქართულ ენაში მეოთხე ჯგუფს.

გამოიძახებს 13 წლის რუს მოწაფე ქალს და ეკითხება გაკვეთილს. ის უპასუხებს, რომ მან გაკვეთილი არ იცის და საზოგადოდ თუ ასე გაგრძელდა ის იძულებული იქნება სრულებით მიატოვოს ქართული ენის სწავლა (მოწაფეები დასცინიან მას ქართულის სწორად გამოუთქმელობის გამო) ის კი იმის მაგიერ, რომ მოუწოდოს მოწაფე ქალებს წესიერებისაკენ და დააწყნაროს შეურაცხყოფილი ქალი, ყვირის: „შეგიძლია წადი რუსეთში, საქართველო არ დაგრთავს ნებას, რომ ქართული არ ისწავლო“. მიმართავს დანარჩენ ბავშვებს და ამბობს: „ბავშვებო თქვენ, იყავით მოწამენი, რომ ის უარს ამბობს ქართულის შესწავლაზე“.

გაკვეთილის შემდეგ მიჰყავს ის სამასწავლებლო ოთახში და უჩივის მას გამგესთან. ის აძლევს მას დარიგებებს, ურჩევს განაგრძოს სწავლა და წინადადებას აძლევს ბოდიში მოიხადოს მასწავლებლის წინაშე, რასაც ის ასრულებს.

„შეურაცხყოფილი“ მასწავლებელი პირს განზე იბრუნებს, არ სურს რომ მოისმინოს მოწაფის ბოდიში.

შრაპნელი.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში.

— **კოჯორის აგარაკები.** კოჯორის აგარაკები, რომლებიც იმყოფება აღმასკომის განკარგულებაში საზაფხულოდ გაიცემა ქირით. აგარაკები დაყოფილია 3 კატეგორიათ. 1 ლი კატეგორიის კვად. არშინი ღირს მთელ სეზონში 80 კაპ. ოქროთი მე 2—60 კაპ. და 3 მე—40 კ., პროფკავშირების წევრებს მიეცემათ აგრეთვე საჭირო ავეჯეულობა და ქირის მიცემის დროსაც შეღავათი. უკანასკნელი ვადა განცხადებების შეტანისა დანიშნულია 1 ივნისი.

— **დახმარება გ იორდანიშვილს.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა სცენის მუშაკს გ. იორდანიშვილს მისი 25 წლის იუბილეს გამო დახმარების სახით მიეცეს 30 მილიონი.

— **ახალი კლინიკა.** ქალაქის მესამე საავადმყოფოსთან გაიხსნა კანისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკა.

— **შაბის შეძენა.** აღმასკომის წყალსადენის განყოფილებამ შეიძინა 1800 ფუთი საუკეთესო ღირსების შაბი. შაბი გადაეცა დანიშნულებისამებრ და ამ დღეებში ქალაქს მიეცემა დაწმენდილი წყალი.

— **ცემენტი ჰიდრო-ელექტრონის სადგურისათვის.** ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონის აღმშენებელ კომიტეტის მიერ ნოვოროსიისკში შეძენილ იქნა 70,000 ფუთი ცემენტი, რომელიც მოხმარებულ იქნება სადგურის საჭიროებისათვის. ცემენტის უმთავრესი ნაწილი უკვე მიღებულია.

— **ჰლექიანთა საავადმყოფო.** აღმასკომის საღმშენებლო განყოფილება შეუდგა ჰლექიანებისათვის საავადმყოფოს მოწყობას არამიანცისეული საავადმყოფოსთან (ნავთლუღი).

განათლების კომისარიატში.

— **მცირე წლოვანთა საქმეების განმხილველი კომისია.** აპრილის განმავლობაში მცირე წლოვანთა საქმეების განმხილველ კომისიაში შემოვიდა სულ 43 საქმე, აქედან—36 ქურდობის შესახებ, 4 სხვა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულობის და 3 უზნეობის ჩამდენთა შესახებ.

— **დახმარება ია კარგარეთელს.** განათლების კომისარიატმა ია კარგარეთელს მისი იუბილეს გამო დახმარების სახით გადასცა 60 მილიონი მანეთი.

წითელი ჯვრის საზოგადოებაში.

— **დახმარება.** საქ. წითელი ჯვრის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გადადვას 300 მანეთი ოქროთი თავის შეფობის ქვეშ მყოფ საბავშო სახლის № 2 ბავშთა შესამოსავად.

— **ამბულატორია, საავადმყოფო, რაზმები.** ს. წ. ჯ. ს. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მიიღოს ენერგიული ღონისძიებანი ამბულატორიის, საავადმყოფოს და რაზმების დაუყოვნებლივ მოწყობისათვის.

გამომცემლობა.

„**კომუნიზმის დროშა**“ № 6—7 გამოვიდა და იყიდება ს. კ. პ. ც. კ. საპოლიტიკო-სამეცნიერო ყოველთვიური ჟურნალი № 6—7, რომელშიაც მოთავსებულია ამხ. ფ. მახარაძის, ს. ქავთარაძის, მ. ო—ს, ა. დებორინის, ს ხუნდაძის, ბ. გორევის, ა. მთიელის, მ. ღოროშელიძის, რ. კალაძის წერილები და ბიბლიოგრაფია.

— „Закавказская кооперация“ № 3—4. გამოვიდა და იყიდება ცენტროკავშირის ამიერ-კავკასიის განყოფილების ორგანო „Закавказская кооперация“ № 3—4. ჟურნალში მეტად საინტერესო მასალა არის მოყვანილი; ღირს 300,000 მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით.

შრომის ბირჟა.

— **უმუშევრები.** 8 მაისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 1213 უმუშევარი. ამავე დღეს ჩაეწერა 12. გაიგზავნა სამუშაოზე 83, ამათგან დედაკაცი—27, 56 კაცი.

სხვა და სხვა.

— **მტკვრის ადიდება.** მტკვარის ადიდების გამო მატარებლების მოძრაობა ბორჯომის ხაზზე შეჩერებულია. გზა დაზიანებულია ბორჯომზე სამი ვერსით დაშორებით 100 საჟენამდე ორ ადგილას. აგრეთვე მტკვარმა დააზიანა თვით ქალაქი ბორჯომი და ტფილისიც.

— **სავაჭრო-სამრეწველოების აღწერა.** 5 მაისიდან დაიწყო სავაჭრო-სამრეწველოების აღწერა. ქალაქი დაყოფილია 6 უბნად. აღწერას ხელმძღვანელობს ცენტრალური საარღწერო ბიურო შემდეგი შემადგენლობით: გ. გრიგორიანის, არ. რუხაძის და ა. ვონჩაროვას. აღწერა დამთავრდება ამ დღეებში.

— **საბავშო სახლები.** ქალაქის საბავშო სახლების ნაწილი 1 მაისს გადატანილი იქნა საზაფხულოდ კოჯორში.

— **პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.** პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საბჭომ დაადგინა მიმდინარე წელს ინსტიტუტის სტუდენტთა რიცხვი განისაზღვროს 750-ით. მიღების დროს დაწესებული იქნება განმეორებითი გამოცდები ყველა ფაკულტეტებში. ფაკულტეტებზე დაწესებულია 4 წლის კურსი.

— **უმწეო ბავშვთა თავშესაფარი.** უმწეო ბავშვთა თავშესაფარში აპრილის განმავლობაში მიღებული იქნა 54 ბავშვი. პირველ მაისისათვის ხსენებულ სახლში ირიცხებოდა 101. ამათგან ქალი—42, ვაჟი—52.

— **ჰლექთან მებრძოლი სამდღეური.** 12 მაისს დაიწყება ჰლექთან მებრძოლი სამდღეულის ჩატარება. სამდღეულის ჩატარების განმავლობაში ყველა თეატრებზე და სხვ. სახ. გასართობებზე შემოღებული იქნება საგანგებო დამატებითი გადასახადი, აგრეთვე ორშაბათს, 14 მაისს ყველა თეატრებში დაიდგმება წარმოდგენები, რომლის შემოსავალი გადაიდება ხსენებულ მიზნისათვის.

— **ბანდიტების დატუსაღება.** სისხლის სამართლის მილიციამ რესტორან „ფანტაზიაში“ ქეიფობის დროს შეიპყრო ბანდიტები, რომლებიც ახდენდენ სისტემატიურ ძარცვა-გლეჯას ტფილისში, ბათომში, ქუთაისის მაზრაში და სხ. შეპყრობილია 7 ბანდიტი და მათი მეთაური ვინმე შალვა გაბუნია. აგრეთვე დატუსაღებული იქნა რესტორანის პატრონი.

— **ბაქოს ბაზრობაზე.** ამიერ-კავკასიის სავაჭრო კომისარიატმა გაგზავნა ბაქოს იარმუკაზე 7000 ფუთი შაქარი. აგრეთვე ს. თეთრი საყდრიდან იგზავნება 50 ათასი შაქრის ფხვნილი.

— **თესვისათვის.** მთავრობა ყოველნაირად დახმარებას უწევს ღარიბ გლეხობას, რათა დროზე მიაწოდოს საჭირო თესლი.

ბინის ტარიფიკაციისათვის

(ტფილისის აღმასკომის 1923 წ. 23 აპრილის დადგენილების [illegible])

ქალ. თბილისში საცხოვრებელ ბინის სივრცის აღრიცხვის დროს, ქალ. თბილისის აღმ-სკომის ა. | წ. 23 აპრილის დადგენილების თანახმად № 11 § 4, ქალაქის განაპირა უბნებად ითვლებიან:

1 რაიონი. საბურთალო, ახალშენი,—საქართველოს სამხედრო გზით ყ. ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნის ხიდს იქითა მთელი რაიონი.

ვაკე სავსებით ვარაზის ხევის ხრამს იქით.

სვიმონოვის მთელი ახალშენი.

მთის კალთა პეტროვის ქუჩის ზევით.

3 რაიონი. სოლოლაკის ხეობა—რაიონი ზევით ტრამვაის გასაჩერებელ ადგილსა, კოჯორის გზასა და რკინის წყალსადენ მილის დასაწყისთან.

5 რაიონი. საქარხნო რაიონი,—მნაცაკანოვის ხიდს იქით, ორთაჭალა, კრწანისი, მთელი ხარფუხი მთის დაღმართით სუფსარქისის ქუჩამდე.

6 რაიონი. მთელი მე-6 რაიონი ვორონცოვის ფერმისა, ნავთლუღისა მამუკინის სოფლის და სასაკლაოს რაიონის ჩათვლით.

7 რაიონი. [illegible] მთელი რაიონი, ახალშენები ყ. ზუბალოვისა, მირზოევისა და სხვათა მამულზე.

8 რაიონი. არსენალის ახლო-მახლო რაიონი რკინის გზის გადაღმა.

9 რაიონი. რკინის გზის იქითა მთელი რაიონი ყ. მსროლელთა რაზმი. დაწყებული არსენალიდან [illegible] ნოროიოსა, სამოვოლნაიასა და სხვა ქუჩ. და აგრეთვე ყოფ. დოლუხანოვისა, ნადიროვისა და სომეხთა სემინარიის მიწებზე გაშენებულ ახალშენებით.

11 რაიონი. მთელი მე-11 სამილიციო უბანი ნაძალადევი, ძველი ნახალოვკა, ლოტკის გორა და სხვა.

ქალაქის დანარჩენ ნაწილში საცხოვრებელ ბინის სივრცე უნდა შეფასდეს იმ ტარიფით, რომელიც დადგენილია ქალაქის ცენტრალურ ნაწილისათვის თანახმად თბილისის აღმასკომის ა. | წ. 23 აპრილის დადგენილებისა № 11.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**

მდივანი **თიკანაძე.**

8 მაისი № 1143.

ხელოვნება

ახალგაზრდა ქართველ მუსიკალურ მოღვაწეთა გამოსვლა საზღვარ-გარეთ.

ბერლინიდან მიღებულია ცნობები, რომ იქ წარმატებით გამოდის კონცერტებში ჩვენი თანამემამულე ირაკლი ორბელიანი,—ახალგაზრდა პიანისტმა ჯერ კიდევ წარსულ ზამთარში გამართა კონცერტი და ბერლინის პრესამ აღნიშნა მისი ნიჭი. უკანასკნელ დროს პიანისტმა ორბელიანმა გამართა თავისი clavier abend ბეტხოვენის დარბაზში, სადაც მხოლოდ გამოჩენილი პიანისტები გამოდიან.

ირაკლი ორბელიანი თბილისის 1-ლ კონსერვატორიის მოწაფეა. მან თავისი მუსიკალური განათლება მარიამ გაბაშვილთან დაიწყო, შემდეგ გადავიდა პროფესორ ტრუსკოვსკის კლასში, რომელთანაც დაასრულა კურსი. ორბელიანი ყოველთვის კარგი პიანისტად გახდომის იმედებს იძლეოდა. ალბათ, ის მეტათ სერიოზულათ ეკიდება თავისი პიანისტის ნიჭის განვითარებას, რადგან ბერლინში გამოსვლა და ამის მუსიკალურ კრიტიკის მიერ აღნიშვნა,—ეს ყოველშემთხვევაში, რაიმეს მაინც ნიშნავს. ბერლინში თავს იყრიან მუსიკალური ამსრულებელნი ყველა ქვეყნებიდან და კონკურენციაც ძალიან დიდია.

მუსიკოსი.

ხამშაბათი, 8 მაისი.

საფაროვ-აბაშიძის საღამო რუსთაველის თეატრში.

ქართული დრამატიული და სასცენო ხელოვნების განმტკიცებამ ჩვენში ბევრი მსახიობის ენერგია და ნიჭი შეიწირა. დიდი შრომა და რკინის ნერვები იყო საჭირო იმ დროში, რომ სასცენო ხელოვნებას დაემტკიცებია მაშინდელი საზოგადოებისათვის თეატრის უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოების ზნე-ჩვეულების და კულტურის ამაღლებაში, ამისათვის კი საჭირო იყო განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მსახიობის მოვლენა მაშინდელს სცენაზე, რომ სხვა ცხოვრებით გართულ საზოგადოებას, თავისდაუნებურად, მიექცია ყურადღება სცენისათვის და თავისი სურვილის წინააღმდეგ თეატრში სიარული ესწავლა. ჩვენს სცენას მართლაც მოევლინა ნიჭიერი მსახიობები: ვასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელისა, საფაროვ-აბაშიძისა და სხვები, რომელთაც თავისი ზურგით ზიდეს ქართული თეატრის ისტორია და დღევანდლამდე მოიტანეს ის.

დღეს ეს ქურუმები სცენისათვის დაილალენ: ზოგი მათგანი დაივიწყა საზოგადოებამ, ზოგის სული კი მუდამ ცხოვრობს ჩვენს თეატრში. ასეთია ბედი მსახიობის!

ერთი ამ ქურუმთაგანის, სახელდობრ მარიამ საფაროვ-აბაშიძის პატივსაცემლად გამართული საღამო აქვს საგნათ დღევანდელს ჩვენს საანგარიშო წერილს. ყოველმა თეატრის მოყვარულმა იცის საფაროვ-აბაშიძის სახელი: ბევრი გაუგონია მისი თამაშის შესახებ, მაგრამ დიდი ხანია სცენაზე ის აღარავის უნახავს; ცხოვრების დროთა სვლამ მას ყურთა სმენა დაუკარგა და ფიზიკურად დააუძლურა ის, რაც საშუალებას არ აძლევს მას ძველებურად მოევლინოს ჩვენს სცენას და თავისი ნიჭიერი თამაშით დაატკბოს საზოგადოება.

ნიშნად პატივისცემისა 8 მაისს მას საღამო გაუმართეს რუსთაველის თეატრში. დადგმული იყო ოპერეტა „მასკოტ“ და მხიარული ვოდევილი „ადვოკატთან“ საფაროვ აბაშიძისა და ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით. „მასკოტ“-ის შესახებ ჩვენ არას ვიტყვით, რადგან ის ხშირათ იდგმება ჩვენს სცენაზე და საზოგადოებაც საკმაოდ იცნობს მის კარგ და ცუდ მხარეებს. ამ საღამოსაც თამაშობდნენ ჩვეულებრივი პათოსით და დაკვირვებით.

გათამაშების მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იყო მეორე პიესა „ადვოკატთან“ (თვით პიესის ღირსებებზე ლაპარაკიც მეტია) გაკვირვებას იწვევდა საფაროვ აბაშიძისა, რომელიც მიუხედავათ იმისა, რომ ღრმად მოხუცებულია, ისე იკოპწიავებდა თავს სცენაზე, თითქოს ახალგაზრდა ქალიაო. მის თამაშში იყო დიდი გრძნობა და როლის გულწრფელი გადმოცემა, მარტო ამ როლით შეიძლება მისი ნიჭის წარსულ სიდიადის წარმოდგენა.

საფაროვ-აბაშიძის გარდა პიესაში თამაშობდა ელ. ჩერქეზიშვილიც. ესეც ერთი ქურუმთაგანია ჩვენი სცენის და მისმა ამ საღამოს თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. დანარჩენი მსახიობებიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

საფაროვ-აბაშიძისას ხალხი დიდი ოვაციებით შეხვდა და ბევრი ყვავილები და საჩუქრებიც მიართვეს მას.

შ. ხ-ძე.

— **ელენე დონაურის ბენეფისი.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ელენე დონაურის ბენეფისი, პირველად ამ სეზონში დაიდგმება შილერის ცნობილი პიესა „მარია სტუარტი“, მთავარ როლს შეასრულებს მობენეფისე.

— **ივ. ფალიაშვილის ბენეფისი.** პარასკევს, 11 მაისს საოპერო თეატრში გაიმართება დამსახურებულ დირიჟორის ივანე ფალიაშვილის ბენეფისი. კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით დადგმული იქნება ცნობილი ოპერა „ლოენგრინი“ მუსიკა ვაგნერის. ამ დღისათვის ორკესტრი იქნება გაძლიერებული და მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მომღერლები.

— **ნაძალადევის თეატრი.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა სხვა და სხვა საჭიროებისათვის ნაძალადევის თეატრს გადასცა 500,000 მან. ოქრ.

— **ქუთაისის თეატრი.** მსახიობ იუზა ზარდალიშვილს ქუთაისის აღმასკომისაგან დავალებული აქვს მომავალ ზამთრის სეზონისათვის შეადგინოს დრამატიული დასი. ზარდალიშვილი დაინიშნა ქუთაისის სახელმწიფო დასის ხელმძღვანელად.

— **საბავშო კინო.** განათლების კომისარიატთან არსებულმა კინო-სექციამ დაამზადა საბავშო კინო სპეციალური პროგრამით, რომელიც ნაჩვენები იქნება ბავშვებისათვის „საბავშო თეატრში“. (წით-არმიელთა ცენტრ. კლუბი) კვირაში ორჯერ.

— **ძუკუ ლოლუას იუბილე.** სოხუმში, ფოთში და ბათომში მაისის შუა რიცხვებში გაიმართება სახალხო მუსიკოსის და ორგანიზატორის ძუკუ ლოლუას იუბილე მისი 28 წლის სამუსიკო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **საბავშო წარმოდგენა.** წითელ-არმიელთა ცენტრ. კლუბში არსებულ „საბავშო თეატრში“ მომავალ კვირას გაიმართება მორიგი საბავშო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება რუსულ ენაზე მოლიერის „სკაპენის ცბიერობა“.

მუშათა ცხოვრება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში

ამა წლის 2 მაისს შესდგა აღნიშნულ კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეული იქნა ექიმი ნაზარეტიანი და მდივნად ამხ. გინზბურგი. კრების დღის წესრიგში სხვათაშორის იდგა: 1) კურორტ არაზინდოს აღსადგენად, ნივთიერი დახმარების აღმოჩენის და 2) კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირების საკითხები.

არაზინდოს შესახებ მოხსენებაში, კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ჟამად გამოუსადეგარი არაზინდო პროფ. აბჰეს მეცადინეობით იქცევა ველებერთელა, მშვენივრად მოწყობილ კურორტად, რომელიც თავისი იშვიათი კლიმატიური ადგილმდებარეობით არა ერთ ათას მშრომელს იხსნის ჭლექის ბასრ კლანჭებიდან. ამისათვის კი საჭიროა საშუალება, რომელიც ძალიან განსაზღვრული არის. კრება ერთხმად ადგენს—გაიღოს ერთი დღის ხელფასი კურორტ არაზინდოს აღსადგენად.

ჯამაგირების შესახებ მოხსენება გააკეთა ადგილკომის წევრმა ამხ. ნიკოლაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა ის მეტად მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდენ სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი მუშა-თანამშრომელნი ბაზრის ფასების საშუალო ზრდის და მარტ-აპრილის მცირე ჯამაგირების გამო. მიუთითა რა ჯანმრთ. კომისარიატის ზოგიერთ განყოფილებათა მუშა თანამშრომლების გაცილებით უკეთესი მდგომარეობაზე, მომხსენებელი თხოვდა კავშირს სათანადო ზომების მიღებას. ამხ. ნიკოლაიშვილის მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც ადგილკომს და კავშირს ევალება იზრუნონ თანამშრომლების ჯამაგირების რეალურ საცხოვრებელ მინიმუმამდე აყვანისათვის.

მუშკორ ა. ნ.

ს. მ. უ. ს. ცენტროტრამოტის ცენტროგარაჟში

გარაჟი იყოფა სამ ამქრებად (ცეხი): სამღებრო სადურგლო, საჭედლო, სახარატო და საკრებულო. საგორდავი ამქარი ამჟამად არ მუშაობს. ყველა ცეხებში მუშაობს 11 კაცი სპეც. გარაჟში არიან პროფესიონალური შოფერები—28 კაცი, 8—მათი თანაშემწენი, 4 მოწაფე და შავი მუშები—3. სულ მოსამსახურე ბინად აქ მუშაობს 65 კაცი, რომელთა რიცხვიდან 4 მცირე წლოვანია. ჩვენი კომუჯრედი შესდგება 25 წევრისაგან, რომელთაგან შვიდი ახალგაზრდათა კავშირის წევრებია. ბინის საკითხის შესახებ, იყო ამორჩეული კომისია, რომელმაც დაათვალიერა მუშების ბინები, და მიღებულია ზომები უფრო გლახა მდგომარეობაში მყოფ ამხანაგები ბინის მხრით დაკმაყოფილებული იქნან პირველ რიგში. მუშა-მოსამსახურენი შენიშნული არიან სამსახურის გამოტოვებაში და ლოთობაში, რის აღმოსაფხვრელად არის მიღებული ზომები, როგორც მაგ. „მარკის სისტემა“,—მთვრალი მუშა-მოსამსახურენი არ იქნებიან დაშვებული სამუშაოზედ და ის დღე არ ჩაეთვლებათ მათ სამუშაო დღეთ. ახალმა ადმინისტრაციამ დააყენა საქმე სათანადო სიმაღლეზედ და მუშაობს მუშებთან ერთად მეგობრულად, რაც არ ყოფილა ძველი ადმინისტრაციის დროს. კულტურული მუშაობა მუშებში არ არის დამაკმაყოფილებელი. მუშები სიხარულით ელიან მათთვის კრედიტის გახსნას.

ადმინისტრაციასთან ორი კოლექტიური ხელშეკრულება უკვე დადებული გვაქვს, მაგრამ შეპირებული სპეც-ტანსაცმელს ჯერ ვერ ვხედავთ, მუშებს ტანსაცმელი შემოეცლიჯათ. დაგლეჯილი და ჩამოკონკილი დადიან. ამის გარდა ადგილკომის მიერ არის მიღებული ყოველგვარი ზომები, „ტრანსპორტნიკების“ კავშირის დახმარებით, კოლექტიურ ხელშეკრულების ყველა მუხლების ცხოვრებაში გასატარებლად. მაგალითად: დარჩენილ მიუღებელ ულუფის, სპეც-ტანისამოსის, სამივლინო ჯილდოს, შვებულების მაგიერ კომპენსაციის და ზედმეტ სამუშაოების გასამრჯელოს ჯილდოს, წარსულ და მიმდინარე წლების, მისაღებად. არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვებულ იქნას ის ფაქტი, რომ გარაჟის გამგემ (კომუჯრედის მდივანი) წარუდგინა ცენტროტრამოტის კოლეგიას ამხ. როლოვი, როგორც შრომის გმირი დასაჯილდოებლად.

მუშკორი ხ.

უმაღ. სამ. საბჭოს ლითონის განყოფილება

(ერთი წლის მუშაობის ანგარიშიდან).

დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილებაში შედიოდა შემდეგი ქარხნები: 1) პირველი საბჭოთა ლითონის ქარხანა—დამამზადებელი სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღებისა, მდებარე ყვირილის ქ. № 9., 2) მეორე საბჭოთა თუჯის—ჩამომსხმელი ქარხანა (გოგოლის ქ. № 44) 3) მესამე საბჭოთა სამექანიკო ქარხანა (მუშტაიდის შეს. № 17); 4) სპილენძის სატკეცი საბჭოთა ქარხანა (ელისაბედის ქ. № 184); 5) პირველი ავტო-სახელოსნო (ელისაბედის ქ. № 119; 6) მეორე ავტო-სახელოსნო (ოლღას ქ.) 7) მესამე ავტო-სახელოსნო (პავლოვის ქ. № 10); 8) სამარგილო—საეტლო სახელოსნო (მილიუტინის ქ. № 15); 9) ლითონის განყ. სამმართველო; ლითონის განყოფილებასთან ერთად ქარხანა—სახელოსნოებში და სამმართველოში სულ ირიცხებოდა 700 მუშა-მოსამსახურე.

გასულ 1922 წ. მაისში დაიკეტა მე-2 ავტო—სახელოსნო (ოლღას ქ.) და ენკენისთვის პირველ რიცხვებში სამარგილო—საეტლო სახელოსნო. დღეს-დღეობით მუშაობენ დანარჩენი ქარხნები.

სამმართველოსთან არსებობს: საერთო კანცელარია, ტექნიკური, მომარაგების და საფინანსო საანგარიშო განყოფილებები, საწყობები, საკონსტრუქტორო ბიურო, ცენტრალური ამბულატორია—მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახობისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად, კბილის საექიმო—კაბინეტი; სკოლა 1—საფეხურისა, ბიბლიოთეკა და კლუბი, რომელიც მოთავსებულია, მესამე ავტო-სახელოსნოში—ჩერქეზოვის ქ. № 115. ადმინისტრაციასა და კავშირის შორის დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება სამი თვის ვადით. მუშებს ეძლევათ სპეც—ტანისამოსი, საპონი და ფეხსაცმელი, რამდენიმე ხნის განმავლობაში ჯამაგირს ვერ იღებდნენ მუშა-მოსამსახურენი დროზედ; ეს აიხსნება მით, რომ მრავალი დაწესებულებები და კერძო პირები არ იხდიდნენ დროზედ ვალს და ნისიათ გაჰქონდათ შეკეთებული მანქანები სახელოსნოდან და ფულის გადახდა აჭიანურებდათ სანამდის თვით კოლეგიის წევრნი არ მიიღებდნენ ხოლმე ზომებს, ყველაფერი ეს აფერხებდა ჯამაგირის დროზედ დარიგებას. მაგრამ ყველ ფერ ამას ბოლო მოეღო და სანამ შემკვეთნი ფულებს არ ჩაბარებენ სალაროში, მანამდის მანქანის შეკეთებას მუშები არ შეუდგებიან ხოლმე. ამ გვარად ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ აიძულა კოლეგია პრაქტიკულად უყუროს საგანს, ჯამაგირსაც დროზედ აძლევენ მუშა-მოსამსახურეთ. და წარმოებამაც საგრძნობლად იმატა.

მუშკორი მელითონე

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

კითხვა: რა წესით ხდება დამზღვევ კასის მიერ ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთათვის ფულის გაცემა (დახმარების აღმოჩენა)?

პასუხი: ავადმყოფი, რომელსაც სურს მიიღოს დახმარება დამზღვევ კასიდან, ვალდებულია დამზღვევ კასის ექიმის ან საკონტროლო საექიმო კომისიის წევრის მიერ ხელმოწერილი ბიულეტენი თავდაპირველად წარუდგინოს თავის ადგილკომს ან ადმინისტრაციას ცნობად. მასთან ადკომს, ანუ ადმინისტრაციას ევალება აღნიშნულ ბიულეტენის მეორე გვერდზე აღნუსხოს—კატეგორია, სატარიფო განაკვეთი და კმაყოფის ყველა სხვა სახეები ავადმყოფ მუშა-მოსამსახურისა. აქავე უნდა აღინიშნოს—რა დრომდე აქვს მას მიღებული გასამრჯელო და რა ხნის განმავლობაში არ იქნება ის თავის ადმინისტრაციის მიერ ჯამაგირით დაკმაყოფილებული. ყველა ეს ცნობები უნდა იქნას შემოწმებული ადკომის ხელისმოწერით და მისი ბეჭდის დასმით.

კითხვა: საკმარისია თუ არა აღნიშნული ბიულეტენი დახმარების მისაღებათ და ვინ უნდა მისცეს ავადმყოფს ეს დახმარება?

პასუხი. ბიულეტენია, რომელზედაც უკვე არის ხელისმოწერა სათანადო ექიმისა და ადკომის, სრულიად საკმარისია დახმარების მისაღებად. თვით დახმარებას კი ავადმყოფი ღებულობს დამზღვევ კასიდან აღნიშნულ ბიულეტენის წარდგენის შემდეგ.

კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს ავადმყოფი მაშინ, როდესაც მისი ავადმყოფობა გრძელდება მიღებულ პირველ ბიულეტენში აღნიშნულ დროზე მეტ ხნის განმავლობაში?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში ძველი ბიულეტენი უნდა გამოიცვალოს ახალზე, რომელიც, როგორც პირველი, უნდა იქნეს შევსებული და შემოწმებული დამზღვევ კასის ექიმის და ადგილკომის მიერ.

(იხ. დამზღ. ინსტრ. 1,8).

მუშათა ქრონიკა

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.

შრომის კანონების დარღვევისათვის მესამე რაიონის შრომის ინსპექტორმა ამხ. სუხორუკოვმა პასუხისგებაში მისცა შემდეგი ვაჭრები:

სპილენძჭედლობის სახელოსნოს პატრონი (19 თებერვლის ქ. № 96) **იარალოვი ხიკირტიჩი**—ამუშავებს 3 ხელოსანს,—მათ შორის ერთ მოზარდს, ყველა ხელოსნები მელითონეთა კავშირის წევრებად ითვლებიან, საანგარიშო წიგნაკები თუმცა მათ აქვთ, მაგრამ წიგნაკები ურიგოდ არის ნაწარმოები და დამზღვევ კასაში მარტიდან ფული არ იყო შეტანილი.

ფეხსაცმელების დამამზადებელ სახელოსნოს პატრონი (სომხის ბაზარი № 84) მიხილ არნაუტოვი—ამუშავებდა მოზარდ შეგირდს ანდრანიკ მიკირტიჩიანცს 2 წლის განმავლობაში, რომელიც დაზღვეული არ იყო და რომელსაც საანგარიშო წიგნაკიც არ აღმოაჩნდა.

— **ლიტერატურული წრე „ფანკუნჯი“.** ტფილისში დაარსდა ლიტერატურული წრე „ფანსკუნჯი“, რომლის მიზანია: პოეზიის, ზღაპრების, ლეგენდების, ხალხური პოეზიის და მუსიკის შესწავლა. წრე შესდგება 30 წევრისაგან.

— **ახალი დრამა.** შალვა დადიანმა დასწერა ახალი დრამა „საბაია“.

— **„ყაჩაღები“ და „ბერდო ზმანია“.** მზადდება შემდეგი პიესები: შილერის ცნობილი ტრაგედია: „ყაჩაღები“ და ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“.

პროვინციაში

დუშეთი

1-ლ მაისის დღესასწაულს მშრომელი მასა დუშეთის მაზრისა შეხვდა ენთუზიაზმით დილიდანვე დაიწყეს დენა სოფლებიდან წითელი დროშებით ხალხმა, რომელიც შეუერთდა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს და მათთან ერთად გაემგზავრნენ ძმათა სასაფლაოზედ, სადაც უკვე იდგნენ მოწაფენი და სამხედრო ნაწილები შემდეგ გაიხსნა მიტინგი. მიტინგის დამთავრებისას იყო მოწყობილი ჯარის ნაწილების მიერ ექსკურსია არაგვზედ, სადაც განზრახულია ახლო მომავალში ჰიდრავლიური სადგურის გამართვა,—მის დასათვალიერებლათ. საღამოთი როგორც მუშათა, ისე გარნიზონის კლუბებში იყო დადგმული წარმოდგენები.

აგრეთვე მლეთში, ფასანაურში, მცხეთაში, მჭადიჯვარში, საგურამოში და სხვა ადგილებში იყო მოწყობილი მიტინგები და საღამოთი უფასო წარმოდგენები.

მელოზეროვი

დ. ხარაგოული

საეკლესიო ცრუმორწმუნეობისაგან განთავისუფლება

დიდი ხანია, რაც ეკლესიას და მღვდელს სახელი გატეხილი ჰქონდათ, რადგანაც ისინი საუკუნეთა განმავლობაში სტანჯავდენ და სულს უხუთავდენ უმეცრებაში მყოფ მშრომელ ხალხს. ხსენებულ ხალხის საგრძნობ ნაწილს დიდი ხანია სწყუროდა ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებულიყო ეკლესიის და მღვდლების ბატონობისაგან, მაგრამ ამათ მხარს უჭერდენ წარსული, უკვე უფსკრულში გადაცვენილი მთავრობანი და ხალხიც ჩუმდა და ვერაფერს ვერ უხერხებდა თავის სულის შემხუთველებს. ეხლა კი, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების დროს, ხალხმა უკანასკნელი მძლავრი იერიში მიიტანა რელიგიურ ცრუმორწმუნოებათა წინააღმდეგ, ერთხელ და სამუდამოთ მოსპო მღვდლობიც და ეკლესიაც.

ამა წლის 24 აპრილს, დილით კვირას, ხარაგოულის თემის მცხოვრებლები შეიკრიბნენ მიტინგზე მღვდლების და ეკლესიის გასასამართლებლად. მიუხედავად ცუდი ამინდისა, მიტინგზე დიდძალი ხალხი მოვიდა. პარტიული კომიტეტის ეზოს გალავანი ხალხით გაჭედილი იყო, სადაც ნაადრევად მოტანილი იყო სხვა და სხვა ეკლესიებიდან დამპალი და გამოფიტული ჯირკები, რომლებიც ჯვრების მსგავსად მღვდლებს აქნობამდე ეკლესიებში გახვეული ჰქონდათ მრავალ ძვირფას სამკაულებში და სამოსლებში, აზიზებდენ მათი ძლიერებით ხალხს, აგროვებდენ „ჯვრის შესაწირავს“ და ყვლეფდენ ისედაც გაძვალტყავებულ ხალხს.

მიტინგზე, რომელსაც ამშვენებდა წითელი დროშები და იქ აღმართული მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ლენინის ბიუსტი, მოხსენება გააკეთა ამხ. სუფსისპირელმა. ილაპარაკეს სხვა ამხანაგებმაც. აქვე აწყვია „წმიდა ნაწილები“ სამღვდელოების გამოგონილი საფრთხობელა, კერპები დამპალი ჯირკების სახით. დაინახა რა ხალხმა შეუგნებელთა მოსატყუებლად მატყუარა მღვდლებისაგან შექმნილი სამკაულ-შემოსილი კერპები, ერთხმათ წყევლა-კრულვით უმასპინძლდებოდა ის აქ მდგომ წვერებ ცანცარა „ღვთის მოციქულებს“. ამ გასამართლების დროს მთელი თემის მღვდლები საზოგადოებისათვის გამოჩენილ ამაღლებულ ადგილზე ერთად იდგენ, სიმწრისაგან და სირცხვილისაგან ლაპარაკის დროს ენა ებორძიკებოდათ და ხალხი კი ამ სურათზე გრიალებდა და ხმამაღლა ხარხარებდა. მიტინგზე გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. სუფსისპირელისა რელიგიის შესახებ, ჩვენ, ხარაგოულის თემის მცხოვრებთა საზოგადო მიტინგი, ვადგენთ: ამიერიდან უკუგდებულ იქნას ყოველივე რელიგიური ცრუმორწმუნეობა და მშრომელ ხალხის საღი გონების დამაჩლუნგებელი ძველი ჩვეულებები; მოვითხოვთ თემში არსებული ეკლესიები იქნას დაუყოვნებლივ დახურული; ეთხოვოს საბჭოთა ხელისუფლებას დახურული ეკლესიები გადაკეთებული იქნას მშრომელი ხალხის გონების განსავითარებელ-კულტურულ დაწესებულებათ. ეთხოვოს მთავრობას, რათა ამ ქვეყნის პარაზიტებს—მღვდლებს არ მიეცეს არც ერთი ნაჭერი მიწა, სანამ ისინი თავს არ დაანებებენ თავიანთ სამარცხვინო პროფესიას და არ შეუდგებიან პატიოსან შრომას.

ზიზღი მღვდლებს, ძირს რელიგიური ცრუმორწმუნეობა, გაუმარჯოს მეცნიერებას და კომუნიზმს!

ერთი კვირის შემდეგ სოფ. საზის მღვ. ამბერკ დევდარიანმა და სოფ. ლარიხევის მღვ. ფ. დეკანოიძემ უკვე თავი გაანებეს მღვდლობას. ასეთი სურვილი განაცხადეს ზოგიერთ სხვა მღვდლებმაც: 1. სიმონ ხარაძემ, 2. პავლე ქიპაშვილმა, 3. სიმონ ქიპაშვილმა და 4. ვასილ ხარაძემ. სამწუხაროთ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთ უკვე მოქანცულ მოწინააღმდეგეებს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკის ამა თუ იმ საპასუხისმგებლო ადგილებზე ყავთ სამსახურში თავიანთი ოჯახის წევრები, რომლებიც მათ უმაგრებენ ზურგს; მაგალითად ადგილობრივ დეკანოზს ერმ. ვეფხვაძეს ქ. ბათომში ყოლებია შვილი მილიციის უფროსათ და იმის იმედით, რომ მას, როგორც მილიციის უფროს ანგარიშს გაუწევენ და ამით მამა მის, მიტინგზე გამოტანილ რეზოლუციის მიხედვით, ადგილ მამული აღარ ჩამოერთმევა, მას არ უნდა თავის სამარცხვინო პროფესიაზე ხელის აღება.

ხარაგოულელი.

ბიბლიოგრაფია

გრდემლი № 1.

ორკვირეული სურათებიანი ჟურნალი
1923 წ. 1 მაისი.
გამოცემა საქ. კ. პ. ც. კომიტეტის და საქ. პროფკავშირთა საბჭოსი.

მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს „გრდემლის“ პირველი ნომერი; ახალი ქართველი მკითხველი დიდი სიხარულით შეხვდება მის გამოსვლას. ცხოველად დაეწაფება და ჟურნალში მოთავსებული ძვირფასი მხატვრულ-ლიტერატურული მასალა სრულ გარანტიას იძლევა მის ფართო გავრცელებისას.

თვით ჟურნალის გარეგნობა მეტად დამაკმაყოფილებელია მხატვრობის მხრივ: ეს შთაბეჭდილება უფრო ცხოველდება და იზრდება ჟურნალის ყოველი გვერდის გადათვალიერებითაც კი. პირველ გვერდზე მოთავსებულია სურათი საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების მეორე ყრილობისა, რომლის ქვევით იწყება ცნობილ ბელეტრისტ დ. კლდიაშვილის წერილი „მთის ორი დიდებული შვილი“ (ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა)

ა. მაშაშვილის მოთხრობა „გიორგი“ ავტორის უტყუარ ნიჭს მოწმობს, რომელიც თანდათან იშლება და იფურჩქნება. ჟურნალის მე-12 გვერდზე მეტად საინტერესო წერილია ხალხის წიაღიდან სტიქიურათ აღმოხეთქილ, ბუნებრივ ნიჭით სავსე მხატვარ ნიკო ფიროსმანიშვილზე. ეს მხატვარი, რომელსაც სიცოცხლეში თითქმის არავინ იცნობდა და აფასებდა, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რამდენი ძვირფასი მარგალიტია დამარხული მდაბიო ხალხში. წერილს დართული აქვს ხატვარის სურათები, რომლებიც სამწუხაროდ ქაღალდზე ნათლად ვერ არის გამოსული. მხატვრული ენითაა დაწერილი პეტრე სამსონიძის „ბედნიერების ორი მხარე“ და ს. კ—შვილის „ოქროს საბნისი“. კარგია იონა ვაკელის ლექსი „თუჯის ლანგარი“ და ადა ნეგრის „დედა“.

მდაბიო მკითხველისთვის გასაგები, ლამაზი ენით დაწერილია დოქტორ ლანიკის წერილი „როგორ წარმოსდგება ახალი ვარსკვლავი“. დიდის სიამოვნებით იკითხება ა. გასტევის „ჩემი ცხოვრება“ ჟურნალის დასასრულში.

ჟურნალში მოთავსებულია სურათები რევოლიუციის მოღვაწეთა თანამედროვე საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობიდან და თანამედროვე ტფილისის ცხოვრებიდან.

სურათებში აღსანიშნავია: „კამო სხვადასხვა სახით“. შარშან ტრაგიკულათ, უცაბედი შემთხვევით დაღუპული ამხ. კამოს ცხოვრება მეტად საინტერესო, პირდაპირ ლეგენდარული მხარეებით იყო სავსე, მისი გმირული ცხოვრების სინამდვილე უფრო ზღაპარს ემზგავსება და უკვე შემდგარა კომისია მის კინემატოგრაფიულ ლენტზე გადასაღებათ. დანარჩენი სურათებიც მეტად საინტერესო ეპიზოდებს გადმოგვცემენ რევოლიუციის წარსულისა და დღევანდელ დროიდან, როგორც მაგ. პოლიტიკური ტუსაღების ერთი ჯგუფი მეტეხის ციხეში 1907 წლის დამდეგს, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მეოთხე კონგრესი, გასულ წლის ოქტომბრის დღესასწაულის და რურის დაპყრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია და სხვა. სურათები ბავშვთა სახლების და საავადმყოფოების, საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ქარხნები, არსენალი და მრავალი სხვა კიდევ უფრო აძლიერებენ კმაყოფილების გრძნობას.

საერთოდ ჟურნალი კარგად არის გამოცემული, დაბეჭდილია სუფთა ქაღალდზე და მეტად საინტერესო მასალას შეიცავს როგორც ლიტერატურული ნაწარმოებით, ისე სურათებით. ჟურნალის ხელმძღვანელ-გამომცემელნი ღირსი არიან დიდი მადლობის. ზოგიერთი სურათები ვერ არის საკმაო ნათლად გადმოცემული; სასურველია შემდეგ ნომრებში ამის აცილება.

ჟურნალი ღირს 150 000 მანეთი, რაც დღევანდელ გამომცემლობის სიძვირის მიხედვით არ არის დიდი.

ვ.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

ნება მოგვეცით თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტ“-ში გამოვაქვეყნოთ ჩვენი გულწრფელი განცხადება: ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები, ტფილისის საქონლის სადგურის მუშები ვაცხადებთ, რომ საქართველოს გასაბჭოების დღიდგან ხელს უწყობთ არსებულ მთავრობას. და ვუსურვებთ მუშების და გლეხების დამცველ პარტიას წინსვლას და გამარჯვებას.

მენშ. პარტ. წევრ.

1. დოლიძე ისიდორე 1902 წ.
2. ბორჩხაძე არსენ 1917 წ.
3. რამიშვილი იასონ 1920 წ.
4. ჯიქია ესტატე 1918 წ.
5. ხაბეიშვილი გალაკტიონ 1920 წ.
6. ხარაბაძე ვასილ 1905 წ.
7. ჩიგოგიძე ვასილ 1918 წ.
8. ოსმანაშვილი მიხა 1918 წ.
9. ანთიძე არსენ 1905 წ.
10. ასამბაძე მასიკო 1907 წ.
11. კალანდაძე გიორგი 1905 წ.
12. გოგავა ისიდორე 1919 წ.
13. მიქაშავიძე იულო 1917 წ.
14. ვაშაკიძე ვლადიმერ 1917 წ.
15. თავბერიძე აპოლონ 1920 წ.
16. ბერძენიშვილი რაჟდენ 1917 წ.
17. ჩხიკვაძე გერმან გიორ. 1917 წ.
18. კობიძე გიორგი გიორ. 1917 წ.
19. ცოცხალაშვილი ერასტო 1903 წ.
20. ჯიქია იაგორ 1919 წ.
21. გიორგაძე კაპიტონ 1920 წ.
22. ახალმედაშვილი ალექსი 1905 წ.
23. ბაგანელი გრიგოლი 1905 წ.
24. ჯულუხიძე იოსებ 1917 წ.
25. ჩიგოგიძე ეტიხი 1905 წ.
26. მირაზანაშვილი ვასილი 1905 წ.
27. ბაიდაშვილი კოლა 1905 წ.
28. ასამბაძე მიხელ 1919 წ.
29. მიქაშავიძე მიხელ 1917 წ.
30. თავბერიძე სერაპიონ 1920 წ.
31. ბოლქვაძე ვასილი 1917 წ.
32. თავბერიძე სერგო 1919 წ.
33. თოდრია კოლია 1918 წ.

ამხ. რედაქტორო!

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადოთ შემდეგი: ჩვენ, ყოფილი წევრები საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიისა, დავრწმუნდით რა, რომ ამ პარტიამ უღალატა მუშათა კლასს, დაუკავშირდა და ხელმძღვანელობს უწესო ბანდიტიზმს, რომელიც მშრომელი ხალხის არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული, ვუცხადებთ ზიზღს ხსენებულ პარტიის ასეთ მოქმედებას და დღეიდან მთელი ქვეყნის მუშათა კლასის გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ვდგებით საბჭოთა ხელისუფლების თვალსაზრისზე და ვალდებულათ ვრაცხთ თავს ხელი შევუწყოთ კომპარტიისა და არსებული ხელისუფლების ყოველგვარ განკარგულებების ცხოვრებაში გატარებას.

საქ. სოციალ-დემ. მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები; **მიქტორ ილიას ძე გორდელაძე, ნიკო გიგოს ძე კობიძე, მიხაკო ესებ ძე მეგრელიძე** (მენშევიკური პ. წევრი 1917 წლიდან), **ბარნაბა ჯინჭარაძე** (1903 წ.), **აკაკი მიქელაძე** (1917 წ.), **რაფიელ კობიძე** (1917 წ.), **კირილე ივანეს ძე ბოლქვაძე** (1917 წ.), **დათიკო ვასილის ძე ხარიძე** (1908 წ.), **კოლა ხარჯველაძე, ნოე პორფილეს ძე პატარაია, ბესარიონ ექვთიმეს ძე ჩხაიძე** (1913 წ.), **სიმონა ალექსის ძე კოპლატაძე** (1905 წ.). **მათე ჩხაიძე, პავლე ნიკოლაიშვილი.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 39.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ სახელმწიფო გადასახადებზე პროცენტული ზედნართის შემოღების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განხილვა და დამტკიცება ადგილობრივ ორგანოთა შუამდგომლობისა, რომ მათ სასარგებლოდ დაწესებულ იქნეს პროცენტული ზედნართი ამიერ-კავკასიის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის აპრილის 2 თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-2 განყოფილების მე-3 თავის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო გადასახადებზე,—მიენდოს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებულს საქართველოში.

2. მიმდინარე წლისათვის, თვინიერ ადგილობრივ ორგანოთა განსაკუთრებულ შუამდგომლობისა, დაწესებულ იქნეს მთლად საქართველოში შემდეგი პროცენტული ზედნართი:

ა) სახელმწიფო სარეწავ გადასახადზე—როგორც ძირითად სასარეწაო მოწმობისა, ისე ფუფუნების საგნების წარმოებისა და ვაჭრობისათვის არსებული დანამატი სასარეწაო მოწმობის ფასის—ასი პროცენტი (100 პროც.) და აგრეთვე ოცდახუთი პროცენტი (5 პროც.) დამატებითი გადასახადის შენაწერისა.

ბ) სასმელებისა და თამბაქოს ნაკეთობის გაყიდვისათვის არსებულ პატენტის ფასზე—ასი პროცენტი პატენტის სახელმწიფო ფასისა.

გ) სასამართლოს ბაჟზე—ასი პროცენტი.

დ) სანოტარიო ორგანოების მიერ გარიგებისა, ხელშეკრულებისა და სხვ. აქტების შედგენისა და შემოწმებისათვის არსებულ სახელმწიფო სასყიდელზე—ამა სასყიდლის ასი პროცენტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

1923 წ. მაისის 8.
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი.

ამიერ-კავკასიის სოც.-ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი და სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. მაისის 7.

ამიერ-კავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შესახებ.

ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს 1922 წ. ივლისის 14-ს თარიღითა და 13 №-ით (საკავშირო საბჭოს დეკრეტებისა და დადგენილებათა დროებით ძალაში შესვლის შესახებ) და 1922 წლის აგვისტოს 18 თარიღით (საკავშირო საბჭოს დეკრეტებისა და დადგენილებათა შესახებ) გამოცემული დეკრეტების გასაუქმებლად, — ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ყველა დეკრეტი და დადგენილება გამოქვეყნდება ტფილისში:

გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში—რუსულად
„ „კომუნისტ“-ში—ქართულად
„ „მარტაკოჩ“-ში—სომხურად
„ „ენი-ფიკირ“-ში—თურქულად

და ძალაში შევა ყველგან ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დღიდან მათი გამოქვეყნებისა, უკეთუ ამა დეკრეტისა, და დადგენილებათა ტექსტში სხვაფრივ არ არის ნათქვამი.

2. უკეთუ რუსულსა და სხვა ტექსტებ შორის განსხვავება აღმოჩნდება,—სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს რუსული ტექსტი.

3 დეკრეტი ესე ძალაში შევიდეს ტელეგრაფით.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. ჯამბარცუმიანი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თალიბლი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ტბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმის სხდომა, რომელიც დანიშნული იყო ხუთშაბათს 10 მაისისათვის ტრანსპორტელ მუშათა ახალგაზრდობის კონფერენციის გახსნის გამო, გადატანილია შაბათს 12 მაისისათვის საღამოს 5 საათზე საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ტბილისის კომიტეტის შენობაში.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს: ისრაელ მარუტიანს, სირანუშ ოვანესიანს, ქალაქის მილიციის იაჩეიკიდან—ჭეჭელიას, დენიაძეს, სოხაძეს, გაზალაშვილს და სახალხო კომისართა საბჭოს იაჩეიკიდან—მეტმარიაშვილს და კაკაბაძეს—პარტიული დისციპლინის ძალით გამოცხადდნენ რაიკომში არა უგვიანეს 10 მაისისა.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ:
ხაცკევიჩი.

— შაბათს, 12 მაისს, დღის 1 საათზე (ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის) მე-4-ე რაიონის პარტიულ სკოლის შენობაში მოწვეულია მე-4-ე რაიონის ყველა მუშათა კლუბების გამგეობათა და კლუბის მუშაკთა თათბირი. დღის წესრიგშია საკითხი პროფკავშირთა საბჭოს ცენტრალურ კლუბში და ადგილობრივ კლუბებში საკლუბო მუშაობის დაყენების შესახებ.

მოწვეული არიან: პროფკავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილება, მბეჭდავების, გემო-კვების, სახალხო დამოკიდებულების კავშირების კულტურული განყოფილებანი, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის იაჩეიკის ბიურო, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი და სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ყველა იმ იაჩეიკების მდივნები, რომელთა დაწესებულებებში მოიპოვება კლუბები.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: არუსტანოვი.

— 10 მაისს—ამხ. ლემშენის მოხსენება „ბელეტრისტული ნაწარმოებნი მუშების მეტყველებაში“.

სახლის გამგე: შიუკაშვილი.

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ხუთშაბათს, 10 მაისს, საღამოს 7 საათზე მუსიკისა და სიმღერის ქვესექციაში ამხ. რუდეკო გააკეთებს ნ. ზ. კრომშტეინის სიმღერის ამერიკულ მეთოდის სახელმძღვანელოს გარჩევას.

მარქსისტულ წრეების მეცადინეობის ცხრილი 8 მაისიდან 13 მაისამდე.

სამშაბათს 8-ს და შაბათს 12 მაისს საღამოს 5-7 საათამდე შესდგება განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების წრე.

ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

— ს. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის ყოფ. [illegible] შესდგება დელეგატების და მე-4 რაიონის მდივნების შეერთებული კრება.

დელეგატების და მდივნების დასწრება აუცილებელია საღამოს სრულ 6 საათზე.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ ხაცკევიჩი.

განცხადებები

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 10 მაისს,
ტრავიატა
დასაწყისი სრულ 8 საათზე.
კრ. 878—1—1

რუსთაველის თეატრი
დღეს, 10 მაისს,
შილლერის პრემიერა
მარია სტიუარტი
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კრ. 875—1—1

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იწვევს ყველა მსურველთ მიიღონ მონაწილეობა წერილობითი ვაჭრობაში, რომელიც გაიმართება ამა წლის 11 მაისს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ქვემდებარე ქ. ტფილისის საავადმყოფოებისათვის საკმაო სიმსუქნის ძროხის ხორცის დამზადებაზე 15—20 ფ. რაოდენობით შემდეგი ვადით: 12 მაისიდან—1924 წ. 1 იანვრამდე.

განცხადებები შეტანილ უნდა იქნენ დაბეჭდილ კონვერტებით ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამეურნეო-მატერიალურ განყ. (ევანგულოვის ქ., 12) ფუთი ხორცის ფასის აღნიშვნით და შემდეგი საბუთების წარდგენით: ხაზინის ქვიტანცია ხელშეკრულების თანხიდან 10 პროც.-ის ბეთ შეტანის შესახებ ან საგირაო მოწმობა უფროსი ნოტარიუსისაგან დაგირავებულ ქონების შესახებ.

იჯარის გაცემის დროს ჯანმრთ. სახ. კომისარიატი იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნულ ფასებით, არამედ აგრეთვე კომისარიატის ინტერესებიდან გამომდინარე მოსაზრებებით.

კრ. 351—3—3

ქალაქის დარაბების მოქირავეები,

რომელნიც დაკეტენ დარაბებს, საწყობებს, სარდაფებს ან სხვა გვარ სავაჭრო სამრეწველო კანტორებს და დაწესებულებებს, ვალდებულნი არიან ანგარიში გაასწორონ საფინანსო განყოფილების სადარაბო სექციაში, სადაც უნდა წარმოადგინონ ქირის გადასახადის ქვითარები, ორდერები და გასაღებები. დარაბებიდან აღმასკომის ინვენტარის გატანა სასტიკად აკრძალულია.

კრ. 380 4—1 საფინანსო განყოფილების გამგე.

ტფილისის აღმასკომი

მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს,

რომ კოჯორში მომავალი ზაფხულისათვის მსურველებს შეუძლიათ დაიქირაონ ოთახები, ოთახები დაყოფილი არის 3 კატეგორიად: 1 კატეგორიის ოთახების ერთი კვ. არშ. მთელ სეზონში ღირს 80 კ. ოქროთი, ოთახები მე-2 კატ.—60 კ. და ოთახები მე-3 კატ.—40 კ. ვისაც სურს აგარაკი დაიქირაოს არა უგვიანეს 1 თიბათვისა განათლების განყოფილებაში უნდა შემოიტანოს შესაფერი განცხადება და აგრეთვე მთელი ქირა აგარაკისა, ხოლოდ პროფესიონალურ კავშირის წევრებს შეუძლიათ შემოიტანონ აგარაკის ქირა 2 ვადაზე: პირველი ნახევარი ქირისა უნდა შემოიტანონ განცხადებასთან ერთად, ხოლო მეორე ნახევარი—არა უგვიანეს 1 მკათათვისა.

პროფესიონალურ კავშირთა წევრებს ოთახებთან ერთად დაეთმობათ ზოგიერთი ავეჯიც. რადგანაც კოჯორის აგარაკებს სახელები აქვთ შეცვლილი და ახლად არიან დანომრილი, ამისათვის საჭირო არის, რომ მსურველებმა აგარაკები დაათვალიერონ ადგილობრივ და მიიღონ ყოველგვარი ცნობები კოჯორის სამეურნეო წევრებიდან—ჩხეტიასაგან ან ლედელაძისაგან, შემდეგ უნდა გამოცხადდნენ განყოფილებაში, წარმოადგინონ აგარაკის საფასური და მიიღონ ორდერი.

კრ. 377 2—1 პრეზიდიუმი.

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი
ი. ფ. პალატნიკოვის
ბუღალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს ჩილება ახალ ჯგუფებში.
(15—1) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საშუალებით რენტგენი დაასხივებაც
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
სადღეღამისო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, [illegible] ქ. № 30. (501—25—21)

დაიკარგა უვადო პასპორტი № 515, რომელიც გაცემულია თელავში გიორგი მესხიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 645—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ექვსი თვის ვადით არსენ გიორგის ძე გელეიშვილის სახელზე, ქ. თბილისის მილიციიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 648—1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი არსენ გრიგოლის ძე გელეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 647—1—1

დაიკარგა კომუნალურ მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 1493 მუშა სიმონ მურუჯიაშვილის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.